საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა


# ლელო

№ 70 (11 219)

4 – 7 სექტემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# რატომ შურს ქართული სპორტის პროგრესი საქართველოს პროგრესული პარტიის თავმჯდომარეს?

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№36) გამოქვეყნდა საქართველოს პროგრესული პარტიის თავმჯდომარის ვაჟა ჟღენტის წერილი, სადაც, აქაოდა, ქალაქ რუსთავს იუბილეს რატომ უხდით, რა გვეხეიმებაო, გზადაგზა ხელში ქართული სპორტიც „შემოელახა“. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა ოპონენტისთვის ზოგიერთი რამ შეგვეხსენებინა.

ერის გადარჩენას, რომ ქართველი კაცი ქართული სპორტის დამხობაში დაინახავს, თავად განსაჯეთ, რა პროგრესულად მოაზროვნე პარტია და მისი ლიდერი ჰყოლია დედასაქართველოს. არადა, სიტყვა-სიტყვით, პირდაპირ ასე წერს ეს კაცი: „დიახ, ერის გადარჩენა თუ გვსურს, სამი-ოთხი წლით ყველაფერი უნდა გადავდოთ. ამჟამად ჩვენ გვჭირდება ფიზკულტურა და არა სპორტი“. უხერხულია, ვამტკიცოთ რა იყო ფიზკულტურა, ანდა, „პროლეტარული კულტურა“ და ა.შ. კარგა ხანია, ჩვენში უარყოფილია ტერმინი „ფიზიკური კულტურა“. აქაც ნამდვილ პროგრესს მივაღწიეთ — ის, რაც თქვენ გგონიათ ფიზკულტურა, სწორედ სპორტია, ოღონდ, ამ შემთხვევაში — „სპორტი ყველასათვის!“ ის, რაც მთელ მსოფლიოში იყო დამკვიდრებული და ახლა ჩვენც ამ პროგრესული გზით მივდივართ. ამ დევიზის პრაქტიკულად მასობრივი დანერგვა, დიახაც, რომ გადაარჩენს ერს.

ნუთუ მართლა გჯერათ და გსურთ, რომ ორმეტრიანმა კალათბურთელებმა სპორტს თავი გაანებონ და, როგორც თქვენ წერთ: „ისეთი დრო გვიდგას, რომ სწორედ ორმეტრიანმა, ჯანიანმა ბიჭებმა უნდა მოჰკიდონ ხელი თოხსა და ბარს, რათა მატერიალური შეჭირვების ჟამს, დოვლათის შექმნაში მიიღონ მონაწილეობა“. ჩინებული პროგრესია, არა? რაო, დღეს, მატერიალური დოვლათის გარდა, ქართველ ხალხს აღარაფერი გვინდა? იქნებ ისა სჯობდეს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს (მათ შორის, თქვენც).

ორმეტრიან ახალგაზრდებს, სანთლით დაეძებს მსოფლიო სპორტული სამყარო და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჩვენებზე ამბობენ უარს, ისინიც წავლენ, ცხადია, თუ თქვენს შეგონებას არ მიუგდეს ყური, თუ თოხი და ბარი არ აიღეს ხელში ბურთის ნაცვლად.

იმასაც წერთ, რომ **„კანონით სასტიკად იკრძალება წარმოების ან ფირმების ხარჯზე სპორტული გუნდების დაფინანსება“**. იქნებ ჩვენ არ ვიცით, და თქვენ გაქვთ საგულდაგულოდ გადამალული ან გვითხრათ, სად მოვიძიოთ ისეთი კანონი, რომელიც საქართველოში სპორტული გუნდების დახმარებას კრძალავს?

სპორტის „გადადება“ შეუძლებელია, იგი პროგრესული ფენომენია და თუ ხელოვნურად მაინც შეაჩერებ, ეს უკვე რეგრესია, იკარგება ასაკობრივი თანმიმდევრობა — მემკვიდრეობითობა, ტრადიციები.... სამი-ოთხი წლით, რომ გადავდოთ სპორტი, ეს ნიშნავს, რომ დანაკარგი შეიძლება ნახევარმა საუკუნემაც ველარ დაგვიბრუნოს. არა გვგონია, ეს არ იცოდეს პარტიის ლიდერმა, მით უფრო, ისეთი პარტიისა, რომელსაც „პროგრესული“ ჰქვია. ქართული სპორტი მთლიანობაში ერის მონაპოვარია და განა ვინმეს აქვს უფლება, ასე ხელჰყოს ეს მონაპოვარი, თუნდაც საგაზეთო პუბლიკაციით? აქ შეიძლება თავი მხოლოდ ჯვარცმული იესო ქრისტეს სიტყვებით დავიმშვიდოთ — დღესაც ხომ ბევრმა არ იცის რას სჩადის და რას ამბობს. და კიდევ იმით, რომ ზოგიერთი ქართულ სპორტს მართლა საჭადრაკო პარტიად მიიჩნევს, რომელსაც გადადებ და როცა ხასიათზე იქნები, მერე მიუბრუნდები, სულაც ან ტრანსპორტი ჰგონია, რომელსაც ფარეხში გააჩერებ, წლების მერე მიხვალ, საწვავს ჩაასხამ და ისევ იმავე სიმძლავრით აამუშავებ...

სპორტისა და სპორტსმენთა შენახვას მართლა ესაჭიროება სოლიდური თანხები და, მიუხედავად სიღატაკისა, როცა ბიუჯეტიდან კუთვნილ ფულს ვერ იღებენ, სპორტსმენები ხან სესხით, ან საკუთარი თანხებით მიდიან მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე, სპორტის დეპარტამენტსა და ფედერაციებში კი თანამშრომლებს 8-10 თვეა ხელფასი არ მიუღიათ. ესეც ხომ უნდა იცოდეს „ქართული სპორტის გულშემატკივარმა“ და „პროგრესული“ პარტიის ხელმძღვანელმა? იქნებ თქვენ, როგორც ოპონენტმა, გვითხრათ, ვინ და რამ წარმოაჩინა ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო მასშტაბით და მსოფლიოს სტანდარტების შესაფერისად, გარდა ჩვენი ათლეტებისა და, საერთოდ, ქართული სპორტისა? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ალტერნატივა არ არის. დავიჯეროთ, რომ არც ეს იცის პროგრესული პარტიის ლიდერმა?

გვერწმუნეთ, თქვენ სადაც უნდა ჩახვიდეთ, არც ერთ ქვეყანაში მოვლენად არ ჩათვლიან, საქართველოს დროშას არ ასწევენ, ჩვენს ეროვნულ ჰიმნს არ ააჟღერებენ. ჩვენი სპორტსმენების პატივსაცემად, მათი სამშობლოს სადიდებლად ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. განა ეს ცოტაა. თქვენ კი სწორედ ამ სპორტსმენების გზურთ, თოხსა და ბარს სთავაზობთ. აი, პროგრესი! მადლობა ღმერთს, საქართველოს მსოფლიო იცნობს ყველაზე უკეთ სპორტით, ცხადია, პოლიტიკითაც და ქვეყნის ლიდერითაც, მაგრამ თქვენს პარტიას რომ არათუ მსოფლიოში, საქართველოშიც არავინ იცნობს...

იმასაც ვხვდებით, რომ ბევრისთვის უცნობი თქვენი პარტია, ამგვარი „თხზულებით“ გინდათ გააცნოთ და ჩაუჭედოთ ხალხს თავში, რადგან სპორტს მთელი საქართველო ეთაყვანება. თქვენთვის ხომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

კიდევ ერთი: არ გვინდა ვიფიქროთ, რომ თქვენ, „პროგრესის მაძიებლები“, არენაზე ახალი და სერიოზული პოლიტიკური ძალის „სპორტული საქართველოს“ გამოჩენამ ჩაგაგდოთ ნოკდაუნში და მის შეჩერებას, საქართველოში სპორტის შეჩერებით ცდილობთ. გარწმუნებთ, არც ეს გამოვა!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრი

## 8 თვის მონაგარი

*საქართველოს სპორტსმენებმა 1998 წლის იანვარ-აგვისტოში საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში მოიპოვეს 30 ოქროს, 40 ვერცხლისა და 38 ბრინჯაოს მედალი, რაც 38-ით აღემატება შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ წარმატებებს. წლევანდელი 8 თვის მონაგარი ასე ნაწილდება.*

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| მსოფლიო ჩემპიონატი | 3 | 3 | 3 | 9 |
| მსოფლიო პირველობა | 6 | 6 | 5 | 17 |
| მსოფლიოს თასი | — | 1 | 4 | 5 |
| ევროპის ჩემპიონატი | 14 | 13 | 7 | 34 |
| ევროპის პირველობა | 5 | 7 | 8 | 20 |
| მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები | 2 | 4 | 11 | 17 |
| სულ | 30 | 34 | 38 | 102 |

*შენიშვნა: მონაცემები აღებულია 31 აგვისტოს მდგომარეობით.*

# წარმატებული სტარტის იმედით

## საქართველო – ალბანეთი

***გუშინ, ნაშუადღევს, ჩარტერული რეისით, თბილისში ჩამოფრინდნენ ალბანეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. დელეგაციაში 71 კაცია. მათ შორის — 17 ჟურნალისტი.***

ალბანეთის მთავარი გუნდი, მწვრთნელ ასტრიდ ჰაფაზის თავკაცობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების დარად კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდა, ხოლო ჩვენი სტუმრების 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გუნდმა ნიკოლინ ლორენცის ხელმძღვანელობით კერძო სასტუმრო „ოდიში“ დაიდო ბინა.

ალბანეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ასეთია: *მეკარეები* — ფოტო სტრაკოშა და არმირ გრიმაი; *მცველები* — ილირ შულკუ, არიან ჯუნბა, ერვინ ფაკაი, რუდი ვატა, ალპინ გალო; *ნახევარმცველები* — ალტინ ლალა, ლუან პინარი, ბლედარ კოლა, ალტინ ჰაჯი, ალბან ბუში, არიან პეგო, არტურ მაჯუნი, მაჰირ ჰალალი; *თავდამსხმელები* — ალტინ რაკლი, იგლი ტარე, ერიონ ბოგდანი. ევროპის 2000 წლის შესარჩევი ტურნირის საქართველო-ალბანეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება 5 სექტემბერს, 19 საათზე. შეხვედრას მოემსახურებიან შვეიცარიელი მსაჯები — კლაუდიო ტეტრუჩი, ლორან როსიე, დომინიკ როშარი, ნიკოლა დეინა (სათადარიგო). უეფას დელეგატია უელსელი როჯერ გიფორდი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მატჩი იუგოსლავიელ არბიტრებს უნდა ემსაჯათ, მაგრამ კოსოვოს მოვლენებმა (სერბთა და ალბანელების დაპირისპირება) უეფას მსაჯთა შეცვლა გადააწყვეტინა.

ახლა, წინა დღით, იმავე სტადიონზე, 17 საათზე საქართველო-ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზეც ვთქვათ. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენმა სტუმრებმა ჩამოიყვანეს შემდეგი ფეხბურთელები: *მეკარეები* — სულეიმან მემა და ბაშკიმ კოკა; *მცველები* — ზიდი კობა, ადრიან ლუკა, ორგეს შეჰი, ჰექტორ პრემჩი, ბლედარ მანკო; *ნახევარმცველები* — ელვის სინა, საიმირ ბენდო, არიან ბისილა, ილირ დიბრა, კაზიმ ბუნა, სოკოლ ბულკუ, ბლენდი შკუმბი; *თავდამსხმელები* — ფიოდორ ჯაჰჯა, კლოდიან დურო, ელდორადო მერკოცი, ვიორენსინ სინანი, კლოდიან არბრი, ალბერტ დურო, ლიგორ ტიკო, ნერიტან ბაიაზიტი, კრეშნიკ ოსმანი და ჰაბიბ რეჯეპი. 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ამ მატჩს მოემსახურებიან ჩრდილოირლანდიელი მსაჯები — როსი, ჩემბერსი, რედფერნი, მალკოლმი (სათადარიგო).

მაშ ასე, საქართველოში კვლავ შემოაბიჯა დიდმა ფეხბურთმა. გულშემატკივრები, იმედიანად გავეშურებით სტადიონისაკენ, რათა მხარი დავუჭიროთ ჩვენს მოთამაშეებს — დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ათი წლისთავზე დრო[illegible] ჩვენი უპირველესი გუნდი [illegible] ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ვიხილოთ.

## ალბანეთის ნაკრები – ძველი ნაცნობი



ალბანეთის ეროვნული ნაკრები

სპორტული ბედი ამ ბოლო წლებში სისტემატურადახვედრებს საქართველოსა და ალბანეთის გუნდებს.

ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია (ფედერატა შკიპტარიე ფუტბოლიტ) 1930 წელს დაარსდა. ფიფას წევრი 1932 წელს გახდა, უეფას წევრი – 1954 წელს. სეზონი სექტემბერში იწყება და ივნისამდე გრძელდება, იანვარში ერთთვიანი არდადეგები ცხადდება. ქვეყანაში დაახლოებით 200 კლუბია, 6000 რეგისტრირებული ფეხბურთელი.

ეროვნული ჩემპიონატი 1930 წლიდან ტარდება. პირველი ჩემპიონი, „სკ ტირანა“ იყო, რომელიც ომამდე ჩატარებულ ექვს ეროვნულ პირველობაზე 5-ჯერ იყო პირველი, ერთხელ კი ეს წოდება კორჩას „სკანდერბეგს“ დაუთმო. 1945 წლიდან ეროვნული ჩემპიონატების გათამაშება განახლდა, რასაც 1948 წლიდან თასის გათამაშებაც დაემატა.

იხ. მე-3 გვ.

პრესკონფერენცია

## მორიგი ცდა პრობლემებითა და პესიმიზმით

საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის მორიგ ცდას იწყებს. წილისყრის მხრივ საწუწუნო არაფერი გვაქვს (მეტოქეთა ტიტულებით ყველაზე სუსტ შესარჩევ ქვეჯგუფში აღმოვჩნდით), ჩვენმა ბიჭებმაც, რომელთა უმრავლესობაც უკვე რამდენიმე წელია ნაკრებში თამაშობს, სათანადო გამოცდილება მიიღო, წამყვან და საშუალო ევროპულ კლუბებში გამოდიან, ხოლო ვინც ჯერჯერობით თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავს, მათაც უჩვენეს თავიანთი ძალა და პოტენცია ევროპას. გულშემატკივარი კი ასეთ დროს რეალურად უყურებს ეროვნული გუნდის მოხვედრას ევრო-2000-ზე, მაგრამ ჩვენი პირველი ნაკრების ირგვლივ კვლავინდებურად გაურკვეველი, არაჯანსაღი და ავისმომასწავებელი ტენდენციაა...

ამის საფუძველს ვლადიმერ გუცაევის ბოლო პრესკონფერენციაც გვაძლევს. განა შეიძლება, რომ ეროვნული გუნდისათვის მთავარი პრობლემა იყოს მებრძოლი სულით და ვაჟკაცურად თამაში? თანაც გამონაკლისის გარდა, ჩვენი ბიჭები თურმე არ ასრულებენ ეროვნული გუნდის მწვრთნელის დავალებებს, ეზარებათ ბურთისათვის ბრძოლა, ვარსკვლავური ავადმყოფობა სჭირთ, ნაკრებისადმი გულგრილი დამოკიდებულება აქვთ. ვითომ ნაკრების თავკაცმა ყველაფერი ეს იმიტომ მოგვახსენა, რომ ფეხბურთელებს ამით შეუფუცხუნოს? ღმერთმა ჰქნას, მაგრამ ფეხბურთელის არაპატრიოტული სულის (თუ ისინი მართლა ასეთნი არიან) მეტამორფოზა ამგვარი მეთოდებით ნაკლებად სავარაუდოა.



ვლადიმერ გუცაევი „ევრო-2000“-ის წილისყრაზე

გუცაევი იმით გვამშვიდებს, რომ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები გაითავისებენ თუ რას ნიშნავს ოფიციალური მატჩი და ამხანაგურზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს. დაცვის ხაზში პრობლემები საგანგაშო არ ყოფილა, რადგან გვყავს სილაგაძე, ცქიტიშვილი, წერეთელი. ვალერი ლობანოვსკი ჭკვიანი კაცია – კალაძეს დაცვის ცენტრში კი არა, ფლანგზე ათამაშებს და ეს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ...

ნახევარდაცვაში, რომელიც ჩვენი ნაკრების უძლიერეს რგოლად ითვლება, შემდეგი პრობლემებია – ქეცბაიასა და ნემსაძეს სათამაშო პრაქტიკა არა აქვთ, ჯამარაული საერთოდ უგუნდოდაა, თუმცა „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს.

ნაკრების თავკაცმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი მონოლითური არ არის და სტაბილურობაც აკლია. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ გუცაევი ნაკრების გადახალისებას გვპირდება – შეუცვლელი არავინ არისო. ყველაფერ ამის გამო კი ოპტიმიზმის საფუძველი ვლადიმერ გუცაევს მისივე თქმით, ჯერჯერობით არა აქვს. თუმცა პესიმიზმის გარდა, ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ისიც გვითხრა, რომ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ალბანელებს დავამარცხებთ, მთავარი ანგარიშია, სამი ქულა...

იხ. მე-2 გვ.

UEFA EURO 2000

იხ. მე-2 გვ.

1998-2000 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი



**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი მოჭადრაკე, საქართველოს ქალთა საჭადრაკო სკოლის უფროსი თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი**

**ელისო კაკაბაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

UEFA
EURO 2000

# 1998–2000 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## I ჯგუფი

**იტალია, დანია, შვეიცარია, უელსი, ბელარუსი**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | უელსი – იტალია |
| 05.09.98 | ბელარუსი – დანია |
| 10.10.98 | დანია – უელსი |
| 10.10.98 | იტალია – შვეიცარია |
| 14.10.98 | უელსი – ბელარუსი |
| 14.10.98 | შვეიცარია – დანია |
| 27.03.99 | დანია – იტალია |
| 27.03.99 | ბელარუსი – შვეიცარია |
| 31.03.99 | იტალია – ბელარუსი |
| 31.03.99 | შვე[illegible]ცარია – უელსი |
| 05.06.99 | [illegible]ა – ბელარუსი |
| 05.06.99 | [illegible]ია – უელსი |
| 09.06.99 | უე[illegible] – დანია |
| 09.06.99 | შვეიცარია – იტალია |
| 04.09.99 | დანია – შვეიცარია |
| 04.09.99 | ბელარუსი – უელსი |
| 08.09.99 | იტალია – დანია |
| 08.09.99 | შვეიცარია – ბელარუსი |
| 09.10.99 | უელსი – შვეიცარია |
| 09.10.99 | ბელარუსი – იტალია |

## II ჯგუფი

**ნორვეგია, საბერძნეთი, საქართველო, ლატვია, სლოვენია, ალბანეთი.**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | საქართველო – ალბანეთი |
| 06.09.98 | საბერძნეთი – სლოვენია |
| 06.09.98 | ნორვეგია – ლატვია |
| 10.10.98 | ალბანეთი – საბერძნეთი |
| 10.10.98 | სლოვენია – ნორვეგია |
| 10.10.98 | ლატვია – საქართველო |
| 14.1098 | ნორვეგია – ალბანეთი |
| 14.10.98 | საბერძნეთი – საქართველო |
| 14.10.98 | სლოვენია – ლატვია |
| 27.03.99 | საბერძნეთი – ნორვეგია |
| 27.03.99 | საქართველო – სლოვენია |
| 31.03.99 | სლოვენია – ალბანეთი |
| 31.03.99 | ლატვია – საბერძნეთი |
| 28.04.99 | ალბანეთი – ლატვია |
| 28.04.99 | საქართველო – ნორვეგია |
| 30.05.99 | ნორვეგია – საქართველო |
| 05.06.99 | ალბანეთი – ნორვეგია |
| 05.06.99 | საქართველო – საბერძნეთი |
| 05.06.99 | ლატვია – სლოვენია |
| 09.06.99 | ალბანეთი – სლოვენია |
| 09.06.99 | საბერძნეთი – ლატვია |
| 04.09.99 | ნორვეგია – საბერძნეთი |
| 04.09.99 | ლატვია – ალბანეთი |
| 04.09.99 | სლოვენია – საქართველო |
| 08.09.99 | საბერძნეთი – ალბანეთი |
| 08.09.99 | ნორვეგია – სლოვენია |
| 08.09.99 | საქართველო – ლატვია |
| 09.10.99 | ალბანეთი – საქართველო |
| 09.10.99 | სლოვენია – საბერძნეთი |
| 09.10.99 | ლატვია – ნორვეგია |

## III ჯგუფი

**გერმანია, თურქეთი, ფინეთი, ჩრდ. ირლანდია, მოლდოვა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ფინეთი – მოლდოვა |
| 05.09.98 | თურქეთი ჩრდ. ირლანდია |
| 10.10.98 | თურქეთი – გერმანია |
| 10.10.98 | ჩრდ. ირლანდია – ფინეთი |
| 14.10.98 | მოლდოვა – გერმანია |
| 14.10.98 | თურქეთი – ფინეთი |
| 18.11.98 | ჩრდ.ირლანდია – მოლდოვა |
| 27.03.99 | ჩრდ.ირლანდია – გერმანია |
| 27.03 99 | თურქეთი – მოლდოვა |
| 31.03.99 | გერმანია – ფინეთი |
| 31.03.99 | მოლდოვა – ჩრდ.ირლანდია |
| 04.06.99 | გერმანია – მოლდოვა |
| 05.06.99 | ფინეთი – თურქეთი |
| 09.06.99 | მოლდოვა – ფინეთი |
| 04.09.99 | ფინეთი – გერმანია |
| 04.09.99 | ჩრდ.ირლანდია – თურქეთი |
| 08.09.99 | გერმანია – ჩრდ.ირლანდია |
| 08.09.99 | მოლდოვა – თურქეთი |
| 09.10.99 | გერმანია – თურქეთი |
| 09.10.99 | ფინეთი – ჩრდ.ირლანდია |

## IV ჯგუფი

**რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა, ისლანდია, სომხეთი, ანდორა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | სომხეთი – ანდორა |
| 05.09.98 | უკრაინა – რუსეთი |
| 05.09.98 | ისლანდია – საფრანგეთი |
| 10.10.98 | ანდორა – უკრაინა |
| 10.10.98 | სომხეთი – ისლანდია |
| 14.10.98 | უკრაინა – სომხეთი |
| 14.10.98 | საფრანგეთი – ანდორა |
| 14.10.98 | ისლანდია – რუსეთი |
| 27.03.99 | ანდორა – ისლანდია |
| 27.03.99 | საფრანგეთი – უკრაინა |
| 27.03.99 | სომხეთი – რუსეთი |
| 31.03.99 | უკრაინა – ისლანდია |
| 31.03.99 | რუსეთი – ანდორა |
| 31.03.99 | საფრანგეთი – სომხეთი |
| 05.06.99 | უკრაინა – ანდორა |
| 05.06.99 | საფრანგეთი – რუსეთი |
| 05.06.99 | ისლანდია – სომხეთი |
| 09.06.99 | ანდორა – საფრანგეთი |
| 09.06.99 | რუსეთი – ისლანდია |
| 09.0699 | სომხეთი – უკრაინა |
| 04.09.99 | უკრაინა – საფრანგეთი |
| 04.09.99 | ისლანდია – ანდორა |
| 04.09.99 | რუსეთი – სომხეთი |
| 08.09.99 | ანდორა – რუსეთი |
| 08.09.99 | ისლანდია – უკრაინა |
| 08.09.99 | სომხეთი – საფრანგეთი |
| 09.10.99 | საფრანგეთი – ისლანდია |
| 09.10.99 | რუსეთი – უკრაინა |
| 09.10.99 | ანდორა – სომხეთი |

## V ჯგუფი

**ინგლისი, ბულგარეთი, შვედეთი, პოლონეთი, ლუქსემბურგი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.09.98 | შვედეთი – ინგლისი | 05.06.99 | პოლონეთი – ბულგარეთი |
| 06.09.98 | ბულგარეთი – პოლონეთი | 05.06.99 | ინგლისი – შვედეთი |
| 10.10.98 | პოლონეთი – ლუქსემბურგი | 09.06.99 | ლუქსემბურგი – პოლონეთი |
| 10.10.98 | ინგლისი – ბულგარეთი | 09.06.99 | ბულგარეთი – ინგლისი |
| 14.10.98 | ლუქსემბურგი – ბულგარეთი | 04.09.99 | ინგლისი – ლუქსემბურგი |
| 14.10.98 | ბულგარეთი – შვედეთი | 05.09.99 | შვედეთი – ბულგარეთი |
| 27.03.99 | შვედეთი – ლუქსემბურგი | 08.09.99 | პოლონეთი – ინგლისი |
| 27.03.99 | ინგლისი – პოლონეთი | 08.09.99 | ლუქსემბურგი – შვედეთი |
| 31.03.99 | პოლონეთი – შვედეთი | 09.10.99 | შვედეთი – პოლონეთი |
| 31.03.90 | ლუქსემბურგი – ბულგარეთი | 10.10.99 | ბულგარეთი – ლუქსემბურგი |

## VI ჯგუფი

**ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, კვიპროსი, სან-მარინო**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ავსტრია – ისრაელი |
| 05.09.98 | კვიპროსი – ესპანეთი |
| 10.10.98 | კვიპროსი – ავსტრია |
| 10.10.98 | სან-მარინო – ისრაელი |
| 14.10.98 | სან-მარინო – ავსტრია |
| 14.10.98 | ისრაელი – ესპანეთი |
| 18.11.98 | სან-მარინო – კვიპროსი |
| 10.02.99 | კვიპროსი – სან-მარინო |
| 27.03.99 | ესპანეთი – ავსტრია |
| 28.03.99 | ისრაელი – კვიპროსი |
| 31.03.99 | სან-მარინო – ესპანეთი |
| 28.04.99 | ავსტრია – სან-მარინო |
| 05.06.99 | ესპანეთი – სან-მარინო |
| 06.06.99 | ისრაელი – ავსტრია |
| 04.09.99 | ავსტრია – ესპანეთი |
| 05.09.99 | კვიპროსი – ისრაელი |
| 08.09.99 | ისრაელი – სან-მარინო |
| 08.09.99 | ესპანეთი – კვიპროსი |
| 09.10.99 | ესპანეთი – ისრაელი |
| 10.10.99 | ავსტრია – კვიპროსი |

## VII ჯგუფი

**რუმინეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლიხტენშტეინი, აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| 02.09.98 | რუმინეთი – ლიხტენშტ. 7-1 |
| 05.09.98 | სლოვაკეთი – აზერბაიჯანი |
| 06.09.98 | უნგრეთი – პორტუგალია |
| 10.10.98 | პორტუგალია – რუმინეთი |
| 10.10.98 | ლიხტენშტეინი – სლოვაკეთი |
| 10.10.98 | აზერბაიჯანი – უნგრეთი |
| 14.10.98 | ლიხტენშტ. – აზერბაიჯანი |
| 14.10.98 | უნგრეთი – რუმინეთი |
| 14.10.98 | სლოვაკეთი – პორტუგალია |
| 26.03.99 | პორტუგალია – აზერბაიჯ. |
| 27.03.99 | უნგრეთი – ლიხტენშტეინი |
| 27.03.99 | რუმინეთი – სლოვაკეთი |
| 31.03.99 | ლიხტენშტ. – პორტუგალია |
| 31.03.99 | აზერბაიჯანი – რუმინეთი |
| 31.03.99 | სლოვაკეთი – უნგრეთი |
| 05.06.99 | პორტუგალია – სლოვაკეთი |
| 05.06.99 | აზერბაიჯ.– ლიხტენშტეინი |
| 05.06.99 | პორტუგალია – ლიხტენშტ. |
| 09.06.99 | უნგრეთი – სლოვაკეთი |
| 09.06.99 | რუმინეთი – აზერბაიჯანი |
| 03.09.99 | აზერბაიჯ.– პორტუგალია |
| 04.09.99 | ლიხტენშტეინი – უნგრეთი |
| 04.09.99 | სლოვაკეთი – რუმინეთი |
| 08.09.99 | უნგრეთი – აზერბაიჯანი |
| 08.09.99 | რუმინეთი – პორტუგალია |
| 08.09.99 | სლოვაკეთი – ლიხტენშტ. |
| 09.10.99 | ლიხტენშტეინი – რუმინეთი |
| 09.10.99 | აზერბაიჯანი – სლოვაკეთი |
| 10.10.99 | პორტუგალია – უნგრეთი |

## VIII ჯგუფი

**იუგოსლავია, ხორვატია, ირლანდია, მაკედონია, მალტა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ირლანდია – ხორვატია |
| 06.09.98 | მაკედონია – მალტა |
| 10.10.98 | მალტა – ხორვატია |
| 10.10.98 | იუგოსლავია – ირლანდია |
| 14.10.98 | ირლანდია – მალტა |
| 14.10.98 | ხორვატია – მაკედონია |
| 18.11.98 | მალტა – მაკედონია |
| 10.02.98 | მალტა – იუგოსლავია |
| 27.03.99 | მაკედონია – ირლანდია |
| 27.03.99 | იუგოსლავია – ხორვატია |
| 31.03.99 | ხორვატია – მალტა |
| 31.03.99 | იუგოსლავია – მაკედონია |
| 05.06.99 | მაკედონია – ხორვატია |
| 05.06.99 | ირლანდია – იუგოსლავია |
| 09.06.99 | იუგოსლავია – მალტა |
| 04.09.99 | ხორვატია – ირლანდია |
| 08.09.99 | მალტა – ირლანდია |
| 08.09.99 | მაკედონია – იუგოსლავია |
| 10.10.99 | ხორვატია – იუგოსლავია |
| 10.10.99 | ირლანდია – მაკედონია |

## IX ჯგუფი

**შოტლანდია, ჩეხეთი, ლიტვა, ბოსნია, ფარერები, ესტონეთი**

| | |
|---|---|
| 04.06.98 | ესტონეთი – ფარერები 5-0 |
| 19.08.98 | ბოსნია – ფარერები 1-0 |
| 05.09.98 | ბოსნია – ესტონეთი |
| 05.09.98 | ლიტვა – შოტლანდია |
| 06.09.98 | ფარერები – ჩეხეთი |
| 10.10.98 | ბოსნია – ჩეხეთი |
| 10.10.98 | ლიტვა – ფარერები |
| 10.10.98 | შოტლანდია – ესტონეთი |
| 14.10.98 | ლიტვა – ბოსნია |
| 14.10.98 | შოტლანდია – ფარერები |
| 14.10.98 | ჩეხეთი – ესტონეთი |
| 27.03.99 | ჩეხეთი – ლიტვა |
| 27.03.99 | შოტლანდია – ბოსნია |
| 31.03.99 | ლიტვა – ესტონეთი |
| 31.03.99 | შოტლანდია – ჩეხეთი |
| 05.06.99 | ბოსნია – ლიტვა |
| 05.06.99 | ესტონეთი – ჩეხეთი |
| 25.06.99 | ფარერები – შოტლანდია |
| 09.06.99 | ესტონეთი – ლიტვა |
| 09.06.99 | ფარერები – ბოსნია |
| 09.06.99 | ჩეხეთი – შოტლანდია |
| 04.09.99 | ბოსნია – შოტლანდია |
| 04.09.99 | ფარერები – ესტონეთი |
| 04.09.99 | ლიტვა – ჩეხეთი |
| 08.09.99 | ჩეხეთი – ბოსნია |
| 08.09.99 | ფარერები – ლიტვა |
| 08.09.99 | ესტონეთი – შოტლანდია |
| 09.10.99 | ესტონეთი – ბოსნია |
| 09.10.99 | ჩეხეთი – ფარერები |
| 09.10.99 | შოტლანდია – ლიტვა |



## აკაკი დევაძე — დაბრუნება სამი წლის შემდეგ

მას კარგა ხანია ვიცნობ და დღესაც მიმაჩნია, რომ რეზო გაგუას ხელში გამობრძმედილი ეს მეკარე საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ბოლო წლებში დაუმსახურებლად დატოვეს განზე. აკაკი დევაძე 27 წლისაა. მეკარისათვის ეს სიმწიფის ასაკია, სწორედ ახლა აქვს ბოლო შანსი მთლიანად გამოავლინოს ნაკრებში თავისი შესაძლებლობები და, გუცაევმა მას ეს შანსი მისცა — დევაძე გამოძახებულია საქართველო — ალბანეთის მატჩისწინა შეკრებაზე.

● *კაკო, თუ არ ვცდები, ნაკრების შემადგენლობაში ბოლოს 1995 წლის სექტემბერში ითამაშე, ნიურნბერგში, გერმანია — საქართველოს მატჩში. შესაძლებლობა მქონდა უშუალოდ თვალი მედევნებინა ამ შეხვედრისათვის. შენმა თამაშმა გაურკვეველი შთაბეჭდილება დატოვა. ისეთი ბურთები აიღე, მთელი „ფრანკენშტადიონი“ გააოგნე, ამასთან, მეორე ტაიმში, ოთხი გაშვებული გოლიდან ორი მაინც იყო მოსაგერიებელი.*

— არაერთხელ ვნახე იმ მატჩის ვიდეოჩანაწერი და ვთვლი, რომ მთლად ურიგოდ არ მითამაშია. ცხადია, შეიძლებოდა, ალბათ, ერთი გოლის არგაშვება, მაგრამ ჯამში ეს საერთო სურათს არ შეცვლიდა, გერმანელებმა მეორე ტაიმში დაგვჯაბნეს — სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე, ძნელია წარმატებაზე იფიქრო, თანაც, როცა სტუმრად ისეთ ძლიერ გუნდს ეთამაშები, როგორიცაა გერმანიის ნაკრები.

● *რა გრძნობები დაგეუფლა, როცა ნაკრებში კვლავ გამოგიძახეს?*

— ცხადია, უზომოდ გავიხარე, ვლადიმერ გუცაევის დიდი მადლიერი ვარ ნდობისათვის. ამასთან, გულახდილად გეტყვით — მოწვევამ ცოტა დაიგვიანა: სამი წელია ნაკრებში არ მითამაშია და კარგი იქნებოდა, რომელიმე ამხანაგურ მატჩში მიმეღო მონაწილეობა. ახლა, ალბანელებთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი ნაკრების თამაშზე სრული შთაბეჭდილება შემექმნება და საქმე გამიადვილდება.

● *როგორ გგონია, რომელი ნაკრები იყო უფრო ძლიერი — უწინდელი, ჩივაძისდროინდელი გუნდი, თუ ახლანდელი?*

— ძნელია, ასე შეადარო. მაშინ სხვა დრო იყო, სხვა ფეხბურთი, ახლა გუნდებს სხვა მოთხოვნები აქვთ წაყენებული. გუცაევის ნაკრების სიძლიერე მის ახალგაზრდობაშია, თუმცა, ვიმეორებ, ბიჭების თამაშზე სრული შთაბეჭდილება მხოლოდ 5 სექტემბრის მატჩის შემდეგ შემექმნება.

● *კაკო, „აშდოდს“ უნდა შეაბერდე?*

— არა, რატომ? ამ გუნდთან ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული პრინციპით 2+2. ძირითადი ვადა გაისად, მაისში მთავრდება. თუ სურვილი მექნება, მაისში კიდევ ორი წლით გავაგრძელებ კონტრაქტს. ისე, გერმანული ან ესპანური გუნდებიდან რომ მომივიდეს მოწვევა, სიამოვნებით გადავიდოდი, მაგრამ მეკარეების ტრანსფერი იშვიათად ხერხდება.

● *გუცაევთან თუ გქონდა საუბარი და, საერთოდ, მასთან რა ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა?*

— დავსხედით, ნორმალური, კაცური საუბარი გვქონდა, მითხრა, მთავარია, კარგად ითამაშო და არაფერს დაგიკარგავო, მეც ეს მინდა.

ესაუბრა
ჯემალ ჯიქაშვილი

# ალბანეთის ნაკრები — ძველი ნაცნობი

*(ცირველი გვერდიდან)*

ამ დროიდან მოყოლებული, უპირატესობა დედაქალაქის კლუბების „დინამოს“, „პარტიზანისა“ და „17 ნენდორის“ მხარეზე გადავიდა, თუმცა ზოგჯერ ისევ შკოდერის „ვლაზნია“ იმარჯვებდა.

ახლა ზოგი რამ ქვეყნის ბოლო, 1997-98 წლების ჩემპიონატის შესახებ. მასში 18 გუნდი მონაწილეობდა. დიდი უპირატესობით გაიმარჯვა შკოდერის „ვლაზნიამ“, რომლის თამაშს ჩვენი გულშემატკივრები იცნობენ კიდეც. მან 72 ქულა მოაგროვა და 7 ქულით გაასწრო მეორე ადგილზე გასულ „ტირანას“. 64 ქულით მესამე იყო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „პარტიზანი“ (ტირანა). „ვლაზნიამ“ მოიგო ყველაზე მეტი, 22 მატჩი, წააგო ყველაზე ნაკლები – 6, ამდენივე ფრედ დაასრულა, 42 ბურთი გაიტანა და 24 მიიღო. საინტერესოა, რომ ბურთების სხვაობის თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მონაცემები აქვს მეორე ადგილზე გამოსულ „ტირანას“ – 54-19. ჩემპიონმა თავისი წოდება ძირითადად მეტად შეუპოვარი დაცვის წყალობით მოიპოვა, როგორც კურიოზი, უნდა აღინიშნოს, რომ „ვლაზნიაზე“ მეტი ბურთი ერთბაშად შვიდმა (!) გუნდმა გაიტანა.

26 გოლით ჩემპიონატის პირველი სნაიპერი გახდა ბუბეკი („შკუმბინი“). 24 გოლის ავტორია იაკუპი („ტირანა“), 17 გოლისა – ბანო („ლიუშნია“), 15 გაიტანა ფორტუზიმ („ტირანა“). გამოცხადდა, რომ ამიერიდან ალბანეთის უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რიცხვი 16-მდე შემცირდა: იგი სამმა დასტოვა და მხოლოდ ერთი – „ბურელი“ დაემატა.

თასის ფინალში ფიერის „აპოლონიამ“, რომელიც ჩემპიონატში მეშვიდე იყო, ანგარიშით 1-0 სძლია „ლუშნიას“ (მეცხრე ჩემპიონატში).



*1995 წლის 26 აპრილი. საქართველოს და ალბანეთის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი*

რაც შეეხება ნაკრებს, იგი კვლავინდებურად ცოტა ამხანაგურ მატჩს მართავს, თუმცა, სისტემატურად მონაწილეობს მსოფლიო და ევროპის პირველობების შესარჩევ შეჯიბრებებში.

მსოფლიოს უკანასკნელი პირველობის მეცხრე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში (გერმანია, უკრაინა, პორტუგალია, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია, ალბანეთი), როგორც მკითხველს მოეხსენება, ალბანელებს ძალიან გაუჭირდათ. 10 მატჩიდან ისინი რვაში დამარცხდნენ, მოიგეს მხოლოდ ერთი – საკუთარ მინდორზე 1-0 ჩრდ. ირლანდიელებთან (გოლი გაიტანა ხაჩიმ) და კიდევ ერთი ფრედ დაასრულეს 1-1 ასევე საკუთარ მინდორზე სომხებთან (ალბანელთაგან გოლის ავტორი იყო ფრახოლი). ალბანელების ასეთი შედეგების მიუხედავად, როცა მათ 4 ქულით ბოლო მეექვე ადგილი დაიკავეს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი შეხვედრა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებთან, გერმანელებთან. რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, გერმანელებს უჭირთ ალბანელებთან თამაში, რომლებიც თავიდან ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძვიან. ტირანაში გერმანელებმა მხოლოდ უკანასკნელ წუთებში მოიპოვეს უპირატესობა – 3-2 (ორივე გოლი მათ კარში კოლამ პენალტებით გაიტანა), ხოლო 1997 წლის 11 ოქტომბერს ჰანოვერში 88-ე წუთისათვის ანგარიში თანაბარი იყო: 3-3 და მხოლოდ ბირჰოფის მიერ უკანასკნელ წუთზე გატანილმა გოლმა მოუტანა გამარჯვება (და ფინალის საგზური!) გერმანელებს. „დღეს ჩემმა მოთამაშეებმა მთლიანად დაივიწყეს, რომ შინ თამაშობდნენ. მე მათთან უამრავი შეკითხვა მაქვს“ – განაცხადა ბერტი ფოგტსმა.

საქართველოს ნაკრები ალბანელებს ბოლოს შეხვდა თებერვალში მალტის საერთაშორისო ტურნირში და გაიმარჯვა 3-0. ალბანელები ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ბექაი (იგი ალბანეთის უძლიერესმა მეკარემ სტრაკოშამ შეცვალა), ვატა, შულკუ, კოტრი, ვაკაში, ბუში (კოლა), ლალა, პეგო (მურატი), ჰალილი, ტარე, რაკლი.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ალბანელებმა ამხანაგურ მატჩში სძლიეს თურქეთის ნაკრებს – 4-1.

და ბოლოს, სულ ახლახან, 19 აგვისტოს ალბანელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს კვიპროსზე ადგილობრივ ნაკრებთან. პირველ ტაიმში მეტოქეებს გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარი მეტად შედეგიანი გამოდგა. 50-ე წუთზე ბუშიმ გახსნა ანგარიში, 61-ე წუთზე კვიპროსელმა ენგომიტისმა საპასუხო ბურთი გაიტანა. 59-ე წუთზე რაკლიმ კვლავ დააწინაურა სტუმრები, მაგრამ თამაშის დასასრულს კვიპროსელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს – ჯერ 82-ე წუთზე კვლავ გაათანაბრა ანგარიში იოაჰიმმა და მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი იოანუმ გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს – 3-2. ბუში ბულგარეთის „ლიტექსში“ თამაშობს.

# მხოლოდ თბილისის „დინამოს“ იმედად დავრჩით

ამას წინათ, 1993/94-1997/98 წლებში უეფას საკლუბო რეიტინგი გამოვაქვეყნეთ, სადაც, საქართველო 20,333 ქულით 24-ე ადგილზე ვიხილეთ. თბილისის „დინამოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტის რომან შოთაძის განმარტებით, ამ მაჩვენებელმა საშუალება მისცა საქართველოს ჩემპიონს მონაწილეობა მიეღო ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან, გარდა ამისა, ჩვენმა კლუბებმა ოთხივე ევროტურნირში (ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, თასების მფლობელთა თასი, ინტერტოტოს თასი) იასპარეზეს.

სამწუხაროდ, წლეულს ქართულმა გუნდებმა საერთაშორისო არენაზე აშკარად დათმეს პოზიციები: ინტერტოტოს თასის გათამაშებას მეორე ტურში გამოეთიშა ქუთაისის „ტორპედო“, უეფას თასზე ფოთის „კოლხეთი-1913“-ის გამოსვლა ხომ საერთოდ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვერ გასცდა თასების მფლობელთა თასის პირველ ეტაპს ბათუმის „დინამოც“. ნუგეშად დაგვრჩა მხოლოდ თბილისის „დინამო“, რომელსაც გაუჭირდება შარშანდელ შედეგამდე ასწიოს საქართველოს საკლუბო რეიტინგი.

მოდით, კონკრეტულად განვიხილოთ შექმნილი სიტუაცია.

ფოთის „კოლხეთი-1913“-მა ორივე თამაში წააგო და, ცხადია, ვერცერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მოიპოვა, ბათუმის „დინამომ“ „პარტიზანთან“ ერთი მატჩი მოიგო და 3 სარეიტინგო ქულა მიიღო, თბილისის „დინამომ“ ჩატარებული 4 მატჩიდან 6 ქულა დაიმსახურა, რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, მისი 3 მოგებული მატჩი „ინტერტოტოზე“ სარეიტინგო სათვალავში არ შედის.

ე.ი. სულ საქართველოს საკლუბო რეიტინგი ამჟამად 9 ქულას უდრის, რომელიც უნდა გაიყოს ჩვენი ქვეყნიდან ევროტურნირებში მონაწილე 4 გუნდზე. შედეგად მივიღებთ ძალიან დაბალ კოეფიციენტს 2,25 (შედარებისათვის შარშან ეს მაჩვენებელი 6 ქულას უდრიდა).

როგორც ხედავთ, ახლა მთელი ჩვენი იმედი თბილისის „დინამოზეა“. ღმერთმა ჰქნას, რომ უეფას თასზე ჩვენმა ჩემპიონმა კიდევ 2-3 გამარჯვება მოიპოვოს. ასეც რომ მოხდეს, შარშანდელ მაჩვენებელს საქართველო ვერ გაიმეორებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა მომავალი სეზონიდან, ალბათ, ევროტურნირებში უფრო ნაკლები რაოდენობის გუნდებით იქნება წარდგენილი.

შექმნილ სიტუაციას ღრმა ანალიზი სჭირდება. სანამ ეროვნული ჩემპიონატის ასეთი დაბალი დონე გვექნება, ზედმეტია იფიქრო რაიმე ხელშესახებ წარმატებაზე ნებისმიერ საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებაში.

ჯემალ ჯიქაშვილი



## ოჩამჩირელი ბავშვის სანუკვარი ოცნება

ამ დღეებში დონის როსტოვში დასრულდა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი 1984 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის ვ.პ. პოლიანიჩკოს სახელობის თასზე. შეჯიბრებაში როსტოვის „როსტსელმაშისა“ და სკა-ს, ნოვოჩერკასკის „იუნოსტის“, ნოვოროსიისკის „სმენასთან“ ერთად მონაწილეობდა თბილისის „დინამოს“ 2 გუნდიც. აღსანიშნავია, რომ ერთი მათგანი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თემურ თვალჭრელიძის თაჯკაცობით) დაკომპლექტებული იყო უმცროსი ასაკის ფეხბურთელებით (1985 წ. დაბადებულნი), რომელთა შორის ოჩამჩირელი ჭაბუკი *გოგი ფიფია* დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზით. მან 5 თამაშში 7 გოლი გაიტანა და სპეციალისტთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. თბილისის №10 სკოლის მოსწავლის (ფიფიების ლტოლვილთა ოჯახი შეჭირვებულად, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს) სანუკვარი ოცნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშია.

*სურათზე: გოგი ფიფია ტურნირის რჩეული მოთამაშის პრიზით.*

# იაშვილს კობიაშვილიც შეუერთდება

ფიფას წესებით, ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებზე გამოძახებული ლეგიონერები ვალდებულნი არიან თამაშის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში დაბრუნდნენ თავიანთ კლუბებში. საქართველო-ალბანეთის მატჩზე გამოძახებული ქართველი ლეგიონერებიც, ცხადია, დაუყოვნებლივ მიაშურებენ გუნდებს. მათ შორის იქნება „გერმანელი“ ალექსანდრე იაშვილიც, რომელსაც ფრაიბურგში გამგზავრება საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ ლევან კობიაშვილთან ერთად მოუწევს.

საქმე ისაა, რომ თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემთხვევაში კლუბებს შორის არსებული მოლაპარაკებით, კობიაშვილი „ფრაიბურგში“ უნდა დაბრუნებულიყო. ასეც მოხდა. მართალია, მურთაზ ხურცილავას ძალიან უნდოდა ლევანი „დინამოს“ უეფას თასის გათამაშების მატჩებშიც გუნდში ჰყოლოდა, მაგრამ მოლაპარაკება მოლაპარაკებაა, გერმანული გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე კობიაშვილზე დიდ იმედებს ამყარებს და სწამს, რომ იაშვილი და კობიაშვილი ბუნდესლიგის მატჩებში თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან „ფრაიბურგის“ აღზევებაში.

# ამიერიდან კომფორტულად ვუქომაგებთ

საქართველო-ალბანეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებზე გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზი ელით. როგორც ეროვნული სტადიონის დირექტორმა *ნუკრი კაკილაშვილმა* თქვა, თუ აქამდე სარბიელზე მხოლოდ 2000 ინდივიდუალური სავარძელი გვქონდა, ახლა ეს რიცხვი 20 000-მდე გაიზარდა. ასე რომ, ამიერიდან საერთაშორისო ოფიციალურ მატჩებს შეიძლება დაესწროს 36 000 მაყურებელი, რაც უეფაშიც დაფიქსირდა.

გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ 4 სექტემბრის საქართველო-ალბანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩზე დასასწრები ბილეთი 2 ლარი ეღირება, ხოლო მეორე დღეს ამ ქვეყნების ეროვნული გუნდების შეხვედრაზე 3-5 ლარი. საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელთათვის დაბეჭდილია 1-ლარიანი ბილეთები.

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 5 სექტემბერს ლატარიის გათამაშება გადაუწყვეტია ინდივიდუალური დასაჯდომი სავარძლების ნომრების მიხედვით.

# ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

## მარჩელო ლიპი
### (იტალია)



მარჩელო ლიპი დიდხანს მუშაობდა იტალიის მეორეხარისხოვან გუნდებში. მისი ნამდვილი, ძალიან დიდი შესაძლებლობები გამოჩნდა ტურინის „იუვენტუსში“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდია. ნაკრებში ლიპის არასოდეს უმუშავია, ამიტომ მისი მოხსენებაც მწვრთნელების სიმპოზიუმზე კლუბში საქმიანობას შეეხებოდა.

... ტურინის „იუვენტუსის“ წარმატებები უკანასკნელი 4 წლის მანძილზე იმ ორგანიზაციული და საწვრთნელი მუშაობის კანონზომიერი შედეგია, რომელიც კლუბში მიმდინარეობს.

... მთავარი, თანამედროვე მწვრთნელის საქმიანობაში, რომელიც ექსტრა-კლასის ფეხბურთელებთან მუშაობს, არის მოთამაშეების მენტალიტეტი და ფსიქიკა, მწვრთნელს გამოჩენილ ოსტატებთან ურთიერთობა უნდა შეეძლოს.

... ერთნაირი ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ძირითადი შემადგენლობის 11-13 ფეხბურთელს, არამედ გუნდის 22-ვე მოთამაშეს.

... თანამედროვე ფეხბურთში გაიზარდა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების დონე. იგი, ლიპის აზრით, მნიშვნელოვანწილად მოქმედებს მოთამაშეთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამასთან დაკავშირებით, „იუვენტუსში“ დიდ ყურადღებას უთმობენ მოთამაშეების ფიზიკურ მომზადებას. ყველა მოთამაშისათვის ცალკე არსებობს ძალისმიერ ტრენაჟორზე მუშაობის პროგრამა. ლიპიმ აღნიშნა, რომ ადრე ფიზიკური მომზადების ვარჯიშებს ეპიზოდურად მიმართავდა, ახლა კი ამას სისტემატურად აკეთებს. გუნდში არის ტესტების კომპლექსი ფიზიკური მომზადების დონის შესაფასებლად. ტესტირების შედეგად მუშავდება „იუვენტუსის“ მოთამაშეების ფიზიკური მომზადების პროგრამა. როგორც ლიპი იგონებს, იგი ადრე იყენებდა მხოლოდ ძალის აღსადგენ საშუალებებს (რეკრეაციული ვარჯიში), ახლა ძალის და სარბენ ვარჯიშებს იგი იმავე მოცულობით მიმართავს, როგორც სათამაშო ვარჯიშებს.

შემდეგ ლიპი შეეხო თამაშის ორგანიზაციის საკითხებსაც. მთავარია, თამაშის აწყობა (და შესაბამისად, ვარჯიშებისა) მთელი რიგი პრინციპების გათვალისწინებით. დაცვის ზონური პრინციპი და არა პერსონალური მეურვეობა, თავდასხმაში ბურთის მაქსიმალურად სწრაფი გადაცემა და მოთამაშეების ელვისებური გადასვლა მინდვრის ერთი ნაწილიდან მეორეში განივი გადაცემები უნდა შემცირდეს, მოთამაშეებმა უნდა ისწავლონ დარტყმის ზონაში რაც შეიძლება სწრაფად შეღწევა.

## რინუს მიხელსი
### (ჰოლანდია)



რინუს მიხელსი თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება. 1984 წელს მან ფეხბურთში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე, გფრ-ში ჰოლანდიის ბრწყინვალე ნაკრები ჩაიყვანა.

სიმპოზიუმზე გამოსვლისას რინუს მიხელსი შეეცადა ელაპარაკა იმ ცვლილებებზე, რომელიც ფეხბურთმა 10 უკანასკნელი წლის განმავლობაში განიცადა, რა უნდა გააკეთონ მწვრთნელებმა, რომ მათმა გუნდებმა თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხონ.

აი, მისი აზრით, რა უმნიშვნელოვანესი მომენტები უნდა გამოვყოთ:

... თამაშის ანალიზის უნარი მეთოდების მთელი კომპლექსის შემწეობით (აქ შედის მწვრთნელების დაკვირვებები, ვიდეოჩანაწერების ანალიზი, სათამაშო მოქმედებების სტატისტიკა).

... საჭიროა მოთამაშეების ისეთნაირად გაწვრთნა, რომ მათ შეეძლოთ 2-3 სათამაშო ფუნქციის შესრულება. უკვე დიდი ხანია დასრულდა წმინდა მცველებისა თუ წმინდა თავდამსხმელების დრო. თუკი ჩვენ მცველისაგან შუა ხაზზე და სულაც თავდასხმაში მოქმედებას მოვითხოვთ, ამისათვის საჭიროა, პირველყოვლისა, მას ასეთი მოქმედების ტაქტიკა ვასწავლოთ და მეორეც, გავზარდოთ ფიზიკური მომზადების დონე, რათა ასეთ გაზრდილ დიაპაზონში თამაში შეძლოს.

... მაღალი კლასის გუნდში ეფექტიანი გუნდური თამაში უნდა შევუთავსოთ მეტოქისათვის მოულოდნელ ინდივიდუალურ მოქმედებებს საუკეთესო ოსტატების შესრულებით. ამიტომ, გუნდური ტაქტიკის მკაცრ შესრულებასთან ერთად მწვრთნელმა უნდა მხარი დაუჭიროს ასეთი ფეხბურთელების მიდრეკილებას იმპროვიზაციისაკენ, როგორც ვარჯიშში, ისე თამაშშიც.

... მთავარი მწვრთნელის მუშაობაში, რომელსაც საქმე აქვს მაღალი კლასის გუნდებთან, არის მოთამაშეების დახელოვნება ტაქტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ ამას ფეხბურთელები მისგან ელიან.

... საწვრთნელ ვარჯიშში საჭიროა ნიმუშის (მოდელის, ეტალონის) შექმნა და ამრიგად ექსტრა-კლასის მოთამაშეების ჩამოყალიბება.

## კარლოს ბილარდო
### (არგენტინა)



კარლოს ბილარდო არგენტინის ნაკრების მწვრთნელი იყო, როცა მან 1976 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. მისი აზრით, საუკეთესო სისტემაა 3-5-2. განათლებით ექიმია, ფეხბურთს 12 წლის ასაკიდან თამაშობდა, მწვრთნელობა 1971 წელს დაიწყო. თავისი სათამაშო სტრატეგიის შექმნა კლუბის მწვრთნელობისას დაიწყო.

ის კულბი, რომელსაც ბილარდო წვრთნიდა 4-3-3 სისტემით თამაშობდა. მცირე ხნის შემდეგ მან ერთი თავდამსხმელი შუა ხაზზე გადაიყვანა და გუნდი გაბატონდა კიდეც მინდვრის შუაგულში. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ამავე შუა ხაზზე ბილარდომ ერთი მცველიც ნასწია. იგი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ყველა გუნდი ერთი ან ორი თავდამსხმელით თამაშობს. რაღა საჭიროა მათი მოქმედების საკონტროლოდ ოთხი მცველის გამოყვანა? სავსებით საკმარისია სამი მცველი. მაგრამ ამ შემთხვევაში იზრდება ზონები, რომლებსაც მოთამაშეები კონტროლს უწევენ. ამიტომ მცველებს მეტი მოძრაობა უხდებათ, ამისათვის კი საჭიროა მათი საგანგებოდ მომზადება. კარლოს ბილარდომ მოიყვანა იტალიელ ალბერტინის მაგალითი, მისი გადაადგილების ზონა შუა ხაზზე პატარაა. ამიტომ საჭიროა მას მცირე წერტილზე თამაში კი არ ასწავლო, არამედ ზონაში.

ნაკრებში მუშაობის დაწყების პირველივე დღიდანვე ბილარდო ბევრს მოგზაურობდა კლუბებში, ესწრებოდა ვარჯიშებს, შემდეგ კი საკლუბო მწვრთნელის ნებართვით, მოთამაშეებს ესაუბრებოდა იმის შესახებ, როგორ უნდა შეეცვალათ სტილი. უფრო მეტიც, თუკი რომელიმე კლუბში მას ერთი ხაზის რამდენიმე მოთამაშე აინტერესებდა, მათ ერთად უყრიდა თავს და ჯგუფური მოქმედების ტაქტიკას ასწავლიდა.

ბილარდომ ნაკრების ვარჯიშებზე 16-18 წლის 6-7 მოთამაშის გამოძახება დაიწყო, მათ ისეთი თამაში ასწავლა, რომლის მოდელიც ადრე შექმნა. ყოველივე ამას დამატებითი ფინანსური სახსრები სჭირდებოდა, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ეს გარემოება გაითვალისწინა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბილარდოს ნაკრებში 17 ისეთი მოთამაშე ჰყავდა, რომლებმაც ყმაწვილობიდან მისი სკოლა გაიარეს.

ბილარდო ბევრს მოგზაურობდა იმ ევროპულ ქვეყნებში, სადაც არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები თამაშობდნენ. იგი მოელაპარაკებოდა ხოლმე ევროპული კლუბების მწვრთნელებს და მატჩის შემდეგ ხვდებოდა 3-5 არგენტინელ ფეხბურთელს, ესაუბრებოდა და, თუ პირობებიც ხელს უწყობდა, ატარებდა მეცადინეობას ტაქტიკის სფეროში.

ბილარდო თვლის, რომ თანამედროვე თამაშის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მოთამაშეთა უნარი ფლობდნენ ბურთს, მოამზადონ შეტევა. იგი შეხვდა ზაგალოს, ესაუბრა და ზაგალომ მას შესჩივლა, რომ ბრაზილიის ნაკრებში ცოტაა ფეხბურთელი, ამის უნარი, რომ ჰქონდეთ (!). ისმის კითხვა თუ ბრაზილიელებს ბურთის ფლობა უჭირთ და ვერც იერიშს ამზადებენ, მაშ ვილა ახერხებს ამას?!

თითოეული ვარჯიშის შემდეგ მოთამაშემ რაღაც ახალი უნდა შეითვისოს. მან სიმპოზიუმის მონაწილეებს უჩვენა ვარჯიშის მაგალითი, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს ლიბერო მთელ მინდორზე. ბილარდო დიდ ყურადღებას უთმობს მოთამაშეების დიაგონალურ გადაადგილებებს. ფეხბურთელები ყოველთვის უნდა ამეცადინო, მათი კარიერის პირველიდან უკანასკნელ დღემდე. ყველას მაინც ის სჯობს, თუ ამ სისტემატურ მეცადინეობას ბავშვობიდანვე, ვთქვათ, 12 წლის ასაკიდან დაიწყებ.

---

ამ ფაქტმა ძველი დრო გაგვახსენა, მაგრამ რას იზამ...

# თეირანში... მოსკოვის გავლით



თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატი ამ დღეებში თეირანში უნდა გაიმართოს და მოულოდნელად თავი იჩინა გაუთვალისწინებელმა პრობლემამ — ჩვენი ნაკრები თბილისიდან თეირანში პირდაპირ ვეღარ გაფრინდება, რადგან ხაზი გაუქმდა. ასე რომ, ახლა, ძველებურად, მოსკოვის გავლით, შორი და მომქანცველი გზით უნდა ჩავიდნენ ჩვენი ფალავნები მეზობელ ქვეყანაში.

გუშინ დავაზუსტეთ ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც — დავით პოლოსიანი (58 კგ), ემზარ ბედინეიშვილი (69), ალექსანდრე კახნიაშვილი (76), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97). პირველად ამ ჩემპიონატში მწვრთნელთა საბჭოსა და ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩართეს იუნიორები (დებულება ამას არ ზღუდავს) — დავით ლექავა (63) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე წონა). ასეთი ნაბიჯი უდავოდ მისასალმებელია, რადგან ახალგაზრდები, რაც უფრო დროულად ჩაერთვებიან უძლიერესებთან ჭიდილში, სპეციალისტების აზრით, მით უკეთესია. ეს ამოკლებს გარდამავალ პერიოდს.

ნაკრებს სათავეში უდგას უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე და მეორე მწვრთნელი გია გალდავა, მსაჯი ედიშერ მაჩაიძე, დელეგაციას კი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი უხელმძღვანელებს.

**ფრენბურთი** **ეროვნული ჩემპიონატი**

# ახლა მინუს – ორი!



— მასპინძლებმა ყველანაირად შეგვიწყვეს ხელი, რათა ბათუმში საქართველოს ჩემპიონატის II ტურის მატჩები ვაჟ და ქალ ფრენბურთელთა შორის ორგანიზებულად ჩაგვეტარებინა — უთხრა ბათუმიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ სპორტის ამ სახეობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ სანთელაძემ.

ბათუმში 6-6 გუნდი შეიკრიბა, რათა პლეიოფებისკენ მიმავალ გზაზე 2-2 გუნდი ჩამოეშორებინათ და პირველობისა და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას უძლიერესები შემორჩენოდნენ. *ვაჟთა შორის ოთხეული ასე გამოიყურება:* 1. თსუ — 10 ქულა, 2. სამხედრო აკადემია — 9, 3. ბათუმი — 7 (გამოეთიშა „ვეტერანები“ და „ცაგერი“); *ქალები:* 1. თსუ — 8, 2. დიდი ჯიხაიშის კოლეჯი — 8, 3. ბათუმი — 8 (გამოეთიშა თბილისის „ჩუღურეთი“ და ქუთაისის გუნდი).

პლეიოფების მატჩების ჩასატარებლად გუნდებს 7 ოქტომბრიდან დიდი ჯიხაიშის კოლეჯი იწვევს და სტუმართა გარკვეულ ხარჯებსაც მასპინძლები გაიღებენ. დარჩენილი ოთხეულების შეხვედრები გამოარკვევს გამარჯვებულებს და პრიზიორებს, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

მიხეილ ფუფუნავა

# როდის დაიწყება კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატი



ჩვენს ფედერაციაში ამ კითხვაზე მოკლე პასუხს იძლევიან: სულ მალე, ალბათ, 19-20 სექტემბერს. მაგრამ მანამდე, 10 სექტემბერს ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და ყველაფერი დაკონკრეტდება. დღის წესრიგში ცხადია, ადგილს მიუჩენენ ჩემპიონატის ორგანიზაციულ საკითხებს, იმსჯელებენ ისეთი სამარცხვინო ფაქტების თავიდან ასაცილებლად, რაც წინა ჩემპიონატში ხდებოდა. მთავარი თემა, ვიმედოვნებთ, კვლავაც იქნება მსაჯობის პრობლემა, რომლის მოწესრიგების გარეშე, სხვა საკითხების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, არანაირი ეფექტი არ ექნება.

1999 წლის ჩემპიონატის დებულება 17 აგვისტოს დამტკიცდა და დაეგზავნა კლუბებს.

საკუთარი ინფორმაცია

# მოყვარულთა პირველი ჩემპიონატი

12 სექტემბერს, 11 საათზე, ქ. რუსთავში სს „აზოტის“ სპორტკომპლექსში დაიწყება საქართველოს პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში მოყვარულთათვის, რომელიც ამ ქალაქის 50 წლის იუბილეს ეძღვნება. ორგანიზატორებია ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის რუსთავის განყოფილება, საქართველოსა და ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციები. მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მცხოვრებ ყველა მოჭადრაკეს, რომელთაც არ გააჩნიათ საერთაშორისო რეიტინგი.

წინასწარი რეგისტრაცია თბილისში, ჭადრაკის ფედერაციაში რ. ქარქაშაშვილთან (ტელ: 99-77-36) ან რუსთავში ხსენებული დეპარტამენტის განყოფილებაში (ტელ: 12-29-47; 19-43-08) 10 სექტემბრის ჩათვლით. დაწესებულია სოლიდური ჯილდოები.

**განცხადებები**

**„ლელოს“ რედაქცია სტაჟირებაზე, შემდეგ კი გაზეთში მუშაობის პერსპექტივით, იწვევს 19-25 წლის ვაჟებს.**

ავტორი გთავაზობთ საფეხბურთო ლოტოს გათამაშების ორიგინალურ ვარიანტს. თანამშრომლობის მსურველებმა დარეკეთ 30-40-69 (უშანგი). იდეა დაფიქსირებულია „ლელოს“ რედაქციაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

# ქართველებს ჰოლანდიელებმაც მიბაძეს

**როცა ამ ოთხი წლის წინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ეროვნული ნაკრები მწვრთნელობაში გამოუცდელ ალექსანდრე ჩივაძეს ჩააბარა, მას ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. ასეთივე მდგომარეობაშია დღეს ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ჯეი სპრინგერსი — მან ამ დღეებში ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა 35 წლის ფრანკ რაიკაარდი.**



*„აიაქსისა“ და „მილანის“ ყოფილმა ნახევარმცველმა კონტრაქტი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატამდე გააფორმა. ამასთანავე, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ თუ საფეხბურთო კავშირი მის მუშაობას წარმატებულად მიიჩნევს, იგი კიდევ 4 წლით დარჩება ნაკრების სათავეში. სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე რაიკაარდმა განაცხადა: „უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ნაკრები ჩამაბარეს — მე ხომ აქამდე იოჰან ნეესკენსთან (რაიკაარდმა იგი თანაშემწედ დანიშნა — რედ.) და გუუს ჰიდინკის ასისტენტად ვმუშაობდი. გულწრფელად გეტყვით, საფეხბურთო კავშირის ეს გადაწყვეტილება ჩემთვის სიურპრიზია, რადგან დიდი გუნდის სათავეში აქამდე არასდროს ვყოფილვარ. ამასთან, კავშირის მესვეურებთან კარგი ურთიერთობა მაფიქრებინებდა, რომ ადრე თუ გვიან, ნაკრების მესაჭედ დამნიშნავდნენ“.*

# ასფალტზეც იზრდებიან ჩემპიონები... თუ მწვრთნელი გურამ თოხაძეა!

მარჯანიშვილის ქუჩაზე დაიბადა, №27/29 სახლში, იქ, ჩოგნის ცნობილი ოსტატები, ძმები არჩილ და ვანო ელერდაშვილები რომ ცხოვრობდნენ. დღეს აქ ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიაა. სახელოვან ჩემპიონთა მთელმა პლეადამ გაიარა გურამის თვალწინ — ნიკოლაი ოზეროვმა და ედუარდ ნეგრებეცკიმ, სერგეი ანდრეევმა და სემიონ ბელიც — გეიმანმა, ბორის ნოვიკოვმა, კონსტანტინ კუდრიავცევმა და ალან ალასმა. ახლა ჩვენები — იანი გომერი, ესპერ მერიკიული, ძმები ელერდაშვილები, გივი კოკაია, ვიქტორ ურაევსკი, თენგიზ კერესელიძე, დიმიტრი შალამბერიძე...

11 წლისა იყო გურამი · კორტიდან გადმოგდებულ ბურთებს რომ აწვდიდა თვით ნიკოლაი ოზეროვს. რას იფიქრებდა პატარა ბიჭი, რომ ოდესმე თავად მოუწევდა წყვილში თამაში ამ სახელგანთქმულ ჩოგბურთელთან და ტელე-რადიო კომენტატორთან. მარტო თამაში კი არა, მასთან ერთად ჩემპიონიც გახდებოდა. მაგრამ ეს გაცილებით მოგვიანებით იყო — 1958 და 1959 წლებში. გურამ თოხაძე მაშინ 25-26 წლისა იყო. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის (სპორტთამაშების ჯგუფი) დამთავრების შემდეგ ბათუმში გაანაწილეს — აჭარის ჩოგბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნეს. იმ ხანად ამ ქალაქში რეგულარულად — მეტწილად სეზონის წინ გაზაფხულობით ჩამოდიოდა დასასვენებლად და სავარჯიშოდ ნიკოლაი ოზეროვი. სწორედ გურამ თოხაძე აირჩია ამ დიდებულმა ოსტატმა თავის მეწყვილედ აჭარის ღია ჩემპიონატში ,,სპარტაკის" კორტზე გამოსასვლელად. აი, ერთეულთა შეჯიბრებაზე მის წინააღმდეგ გურამმა პირწმინდად წააგო პარტია — 0:6, 1:6.

... 12 წლის გურამი არჩილ და ვანო ელერდაშვილებმა ,,დინამოს" ახალაგებულ კორტებზე წაიყვანეს. საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობდა. რომ იტყვიან, პირდაღებული ადევნებდა თვალს ყმაწვილი აღიარებულ ოსტატთა პაექრობას. განსაკუთრებით მოეწონა ნ. ოზეროვი, რომელმაც ფინალში შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა სერგეი ანდრეევი. ტურნირის დამთავრების შემდეგ ელერდაშვილებმა გურამი ცნობილ მწვრთნელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს მარიამ კლდიაშვილს წარუდგინეს. ორიოდე წლის შემდეგ ახალბედა უკვე პირველ შეჯიბრებაზე გამოვიდა — თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაისაკუთრა, ფინალში დაძაბული ბრძოლა წააგო ირაკლი თაქთაქიშვილთან — 1:6, 5:7. ზუსტად ერთი თვის შემდეგ, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გურამმა რევანში აიღო მასთან — 11:3, 6:4. ძველებური მაგიდის საათით დააჯილდოვეს გამარჯვებული და იქვე მეორე ,,პრიზიც" გადასცეს — ყვითელი ფერის აბრეშუმის ქსოვილი პერანგისათვის...

ინსტიტუტელ თანაკურსელებს სოსლან ნავროზაშვილს, როინ ტაბუცაძეს, ნოდარ ბახტაძეს, ,,ჭიპრიკა" ჭელიძეს ძალიან უნდოდათ თავიანთი მეგობარი მათსავით ფეხბურთელი გამოსულიყო. იგი ხომ ფაკულტეტის გუნდში მათთან ერთად დაცვის ცენტრში თამაშობდა, მაგრამ ნიჭიერი ჩოგბურთელი უჩოგნოდ ვერ ძლებდა და აკი ჯერ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა, მერე კი საკავშირო ნაკრებშიც შეიყვანეს, რომელსაც სათავეში სემიონ ბელიც — გეიმანი ედგა. გურამთან ერთად ვარჯიშობდნენ უჟგოროდელი მიხაილ მოზერი (ცნობილი ფეხბურთელის ივან მოზერის უმცროსი ძმა), კიეველი ვერა კუზმენკო და სხვები. სხვათა შორის, ამ გამოცდილმა მწვრთნელმა არაერთხელ უთხრა თავის შეგირდებს, ასევე გულდასმით უნდა ივარჯიშოთ და ითამაშოთ როგორც გურამ თოხაძე. ჩვენს ჩოგბურთელს განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა თამაში ბადესთან, ძლიერი და ზუსტი მარჯვენა დარტყმა ჰქონდა, სწრაფი გადაადგილება მოედანზე, მოქნილი მოძრაობები და, საერთოდ, რომ იტყვიან, მყარად იდგა კორტზე. გასაკვირი არაა, რომ იგი მალე სპორტსაზოგადოება ,,ლოკომოტივის" საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს გიგუშა ლარიბაშვილთან ერთად. გუნდს ცნობილი მწვრთნელი გალინა კონდრატიევა ავარჯიშებდა.

აჭარაზე გესაუბრებოდით. გურამ თოხაძემ იქ სამი წელიწადი იმუშავა. რამდენიმე სპორტის ოსტატი აღზარდა, მათ შორის ძმები ასათიანები, ნიაზ ქორდანია, ნატალია ანტიპინა. გ. თოხაძის გულმოდგინე მუშაობის შედეგად აჭარელი ჩოგბურთელები, ადრე რომ რესპუბლიკის ჩემპიონატებზე IV-V ადგილებზე გადიოდნენ, ახლა სულ მეორე პრიზიორები ხდებოდნენ თბილისის ძლიერი გუნდის შემდეგ. სხვათა შორის, აჭარელმა ჩოგბურთელებმა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში მხოლოდ ერთი ქულით დათმეს შეხვედრა თბილისელებთან.

გარდაბნის რაიონის სპორტსკოლის დირექტორად დანიშვნის შემდეგ გ. თოხაძემ ახლა იქ შექმნა ჩოგბურთის კარგი გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ პირველობებზე მეტწილად მეორე იყო. გურამი საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს მწვრთნელად. სწორედ მაშინ, 1963 წელს, 19 წლის ალექსანდრე მეტრეველი სსრ კავშირის ზამთრის პირველობის ჩემპიონი გახდა სევერო დონეცკში, სადაც ფინალში სძლია ქვეყნის მაშინდელ ჩემპიონს, ესტონელ თომას ლეიუსს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნ. თოხაძის მიერ მომზადებულმა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა 1961 წელს გაიმარჯვა ბაქოში ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე, ოთხი წლის შემდეგ კი დამაჯერებლად მოიგო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მინსკში. ბაქოში გ. თოხაძის მოწაფე ნიაზ ქორდანია გახდა ჩემპიონი, მინსკში კი პირველობა ერთბაშად ორმა შეგირდმა იზეიმა — ბათუმელებმა ვლადიმერ ასათიანმა და ნატალია ანტიპინამ.

სხვათა შორის, ბელორუსიის დედაქალაქში იმხანად 17 წლის ლამარა მგალობლიშვილმა სძლია უნიჭიერეს მოსკოველ თანატოლს, უიმბლდონის მაშინდელ ჩემპიონს იუნიორთა შორის ოლღა მოროზოვას. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა უკან მოიტოვა მოსკოველ ჩოგბურთელთა ძლიერი გუნდი.



... 1975 წლიდან თოხაძე კალინინის (ახლანდელი მთაწმინდის) რაიონის სპორტსკოლას ჩაუდგა სათავეში და, ბუნებრივია, ჩოგბურთელებთან მუშაობასაც არ სწყვეტდა — 10-კაციანი ჯგუფი ჰყავდა. გაზარდა ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — ლეილა მესხი და დავით კაჭარავა, სპორტის ოსტატები გიორგი მირიანაშვილი და ეკა თოხაძე. სასიხარულოა, რომ დღეს 28 წლის ეკა მამასთან — გურამ თოხაძესთან ერთად ქალაქის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის მწვრთნელია ჩოგბურთში. ვარჯიშს, ეგრეთწოდებულ, ,,კიკვიძის ბაღში" — ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკში ატარებენ. წარმოიდგინეთ, გასახდელად ჩვეულებრივი ჯიხური გამოიყენეს, აი ისეთი, სიგარეტებსა და სალექ რეზინას რომ ყიდიან ხოლმე.

— რომ ვთქვა, ჩვენთან ნიჭიერი ბავშვები ვარჯიშობენ, ამით, ალბათ, ახალს ვერაფერს ვიტყვი. ნიჭიერი კი არა, ჩოგბურთზე ფანატიკურად შეყვარებული გოგო-ბიჭებია რვიდან თხუთმეტ წლამდე ასაკისა, — გვეუბნება გურამ თოხაძე, — გაცვეთილ ასფალტიან კორტებზე ვმეცადინეობთ, მაგრამ მაინც არ ვჩივით. სწორედ აქ აღიზარდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონები, 12-წლისანი მაკა ჩახნაშვილი და ირაკლი უშანგიშვილი, ტიმიშვარსა და კიევში რომ მოიპოვეს ეს საპატიო ტიტული. ორიოდე წლის წინათ, ორივე ევროპის იუნიორთა ნაკრებში შეიყვანეს.

სულ ახლახან მოსკოვში მსოფლიო ჭაბუკთა ოლიმპიადაზე ორივე ქართველი ჩოგბურთელი წარმატებით გამოვიდა — მაკა ჩახნაშვილმა მხოლოდ ფინალში წააგო მსოფლიო ჩემპიონ მოსკოველ ნატალია დემეტრიევასთან, ხოლო ირაკლი უშანგიშვილმა თანაგუნდელ ირაკლი ლაბაძესთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლა დათმო არგენტინელებთან. ახლახან მაკა ჩახნაშვილმა (იგი უკვე 14 წლისაა) დამაჯერებლად გაიმარჯვა მოზრდილთა შორის თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში გამართულ ჩოგბურთის მსოფლიო ფედერაციის თასზე. მანვე ნინო ლუარსაბიშვილთან ერთად ყველას აჯობა წყვილთა შეჯიბრებაშიც.

● ***ბატონო გურამ, თქვენ მართლაც ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელი გაუზარდეთ ქართულ სპორტს, უმეტესად ამ დაფლეთილ ასფალტის კორტზე. დღესაც ზრდით იმედისმომცემ ოსტატებს. ეგებ გაგვაცნოთ რამდენიმე მათგანი, ყველაზე ნიჭიერ ჩოგბურთელთა გვარები, ასე ვთქვათ, ჩვენი ხვალინდელი ჩემპიონები.***

— თავს შევიკავებ, თქვენი ნებართვით! დაე, მომავალმა ჩემპიონებმა თავის დროზე თავად გაგვაცნონ გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს თავიანთი ვინაობა.

გვჯერა, რომ ამ პრიმიტიულ ასფალტის კორტებზე მართლაც დაიზრდებიან ახალი ჩემპიონები, თუ... მათი მწვრთნელი გურამ თოხაძე იქნება!

ოთარ ნოზაძე

# «შევარდენი–80»



*იალბუზზე ასვლის მეორე დღე: 1.. ატო აღნიაშვილი, 2. სიმონ ჯაფარიძე, 3. ლევან ყანჩაველი, 4. ვანიჩკა კუკავაძე, 5. ლადო ფხალაძე, 6. შოთა ძაგნიძე, 7-8. ირმა და სონია. თვით გიორგი ნიკოლაძის მიერ გადაღებული ეს ფოტო, 1925 წელს უცხოეთში (ქვეყანა უცნობია), საფოსტო ბარათად გამოუციათ.*

## მყინვარწვერს იალბუზი მოჰყვა

„შევარდენის" ერთ-ერთი დიდი გამარჯვება იყო 1928 წლის 28 აგვისტოს მასობრივი ასვლა მწვერვალ მყინვარწვერზე, ამავე საზოგადოების სულისჩამდგმელისა და ხელმძღვანელის გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ, და საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმს. ისე რომ, „შევარდენის" 80 წლისთავს დაემთხვა ქართული ალპინიზმის საიუბილეო თარიღი – 75 წლისთავი.

მყინვარწვერზე პირველ ასვლას მოჰყვა ქართველი მთამსვლელების არანაკლებ მნიშვნელოვანი ექსპედიცია, კავკასიონის ქედზე მდებარე ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზის მასობრივი დაპყრობა 1925 ლის 12 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, რომელშიც 19 მთამსვლელი (მათ შორის იყო 5 ქალი) მონაწილეობდა.

გთავაზობთ ასვლის მონაწილის, ფიზიკოს ალექსანდრე (შოთა) ძაგნიძის გახსენებას, რომელიც შვილიშვილმა ქეთევან ტაკიძე-მირზიაშვილმა მიაწოდა „ლელოს" რედაქციას.

ა. ძაგნიძეს დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და მთელი ცხოვრება ქობულეთის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას. გარდაიცვალა 1992-ში 89 წლისა. მისი ნამოწაფარია ცნობილი ქართველი ფიზიკოსი ნოდარ ამაღლობელი.

„1925 წლის 26 ივლისს ექსპედიცია 27 კაცის შემადგენლობით გავიდა ქ. თბილისიდან. ექსპედიციის შემადგენლობა ასეთი იყო: 1. გიორგი ნიკოლაძე – ექსპედიციის უფროსი, წევრები: ნიკო კეცხოველი, ლევან ყანჩაველი, ასმათ ნიკოლაიშვილი, ლიდუსი ჩხეიძე, მარო ბეჟანიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ტყავაძე, სანდრო კილაძე, ვალიკო კეთილაძე, ატო აღნიაშვილი, შოთა ძაგნიძე, ლადო ფხალაძე, დევი მიქელაძე, სიმონ ჯაფარიძე, მიტრო მიქაბერიძე, ვანიჩკა კუკავაძე, დიმიტრი ღოღობერიძე, ბეჟან ლორთქიფანიძე, მაგდა კლიმიაშვილი, სონია სტრავინსკაია, ვერიკო ბეჟანიძე, თამარ ჯიჯავაძე და კოსტია რაზუვაევი (თბილისის კომკავშირის კომიტეტის წარმომადგენელი).

ექსპედიციის გამყოლები: იაგორ კაზალიკაშვილი და გახა წიკლაური (მთიულები), რომლებიც შეუერთდებოდნენ ექსპედიციას კისლოვოდსკში.

ექსპედიციას კისლოვოდსკში დაემატა კიდევ ერთი ჯგუფი ფროლოვის ხელმძღვანელობით და გაზეთ „იზვესტიას" კორესპონდენტი ა. უსაგინი.

თბილისიდან პიატიგორსკში ვიმგზავრეთ მატარებლით, იმ დროს შავიზღვის სანაპირო რკინიგზა არ იყო და ბაქოზე გავლით 29 ივლისს ჩავედით პიატიგორსკში.

***რედაქციისაგან:** „ლელოს" წინა ნომერში (68-ე) გამოქვეყნებულ ფოტოზე (წერილთან „არწივები ქობულეთიდან") ერთი ტანმოვარჯიშის გვარი უცნობი იყო, იგი აღმოჩნდა ვალიკო კეთილაძე.*

# ინტერვიუ აქტუალურ თემაზე

## სპორტი თქვენი არსობისა

### სპორტში დიპლომიანთა და უდიპლომოთა საყურადღებოდ!



კვალიფიკაციის ამაღლება ან დამატებითი პროფესიის შეძენა მოკლე დროში, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში იყო და არის აქტუალური. ასეთი კურსები ჩვენთან მუშაობდა, მაგრამ ამ ათწლეულის პირველი ნახევრიდან იგი დაიხურა, აღდგენის საკითხი კი, გახსოვთ ალბათ, ,,ლელომ" რამდენჯერმე წამოსწია დღის წესრიგში. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ფიზაღზრდის და სპორტის აკადემიამ ყველაფერი გააკეთეს პრობლემის გადასაჭრელად და გადაჭრეს კიდეც.

,,ლელოს" კორესპონდენტს ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრება ზემოხსენებულ აკადემიასთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დოცენტი თორნიკე სანებლიძე.

— ფაკულტეტი წლეულს აღვადგინეთ 2 თებერვლიდან. პირველ ნაკადში კურსები გაიარეს თბილისის სპორტსკოლების დირექტორებმა, შემდეგ მათმა მოადგილეებმა და მეთოდისტებმა, სულ 70-მა სპეციალისტმა. სამი ნაკადის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელია, მით უფრო ახლა, როცა თვით ცხოვრებაში მიმდინარეობს ძირეული გარდაქმნები — თქვა, საუბრის დასაწყისში თ. სანებლიძემ.

● ***ბატონო თორნიკე, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ცხადია, უპირველესად დროის მოთხოვნის შესაბამისი სიახლეების ათვისება იგულისხმება, რასაც მაღალკვალიფიციური ადამიანები, ანუ პედაგოგთა პედაგოგები ესაჭიროება...***

— მართალს ბრძანებთ, ლექტორთა ჯგუფში მეტწილად ჩართულნი არიან ყველაზე მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებმაც ჯერ თავად აიმაღლეს პროფესიული მომზადება, იმ უახლესი და მომავალი ამოცანების შესაბამისად, რაც ჩვენი სპორტული მოძრაობის წინაშე დგას.

● ***კანონი სპორტის შესახებ მოითხოვს, რომ ამ სფეროში მხოლოდ დიპლომიანი კადრები უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ბევრგან ხომ საქმეს არასპეციალისტებიც უძღვებიან, განა კვალიფიკაციის თქვენთან ამაღლება უშველის მათ საქმეს?***

— კვალიფიკაციის ამაღლებაზე მხოლოდ სპეციალური განათლების მუშაკებს ვიწვევთ. სპორტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად წლეულს და გაისად ჩატარდება ატესტაცია, სადაც დაიშვებიან მხოლოდ უმაღლესი სპეციალური განათლების დიპლომიანი კადრები, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ აგრეთვე გავლილი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. რაც შეეხება არასპეციალისტებს, ისინი მართლაც მრავლად არიან. 11134 სპორტული მუშაკიდან, ჩვენს ქვეყანაში, უმაღლესი სპეციალური განათლებითაა მხოლოდ 7341.

● ***რა უნდა ქნან დანარჩენებმა, რა ბედი ეწევათ?***

— ჩვენი ფაკულტეტი სპეციალისტების გადამზადებაზეც მუშაობს, სხვა პროფილის განათლების პიროვნება მოვა ჩვენთან და მოკლე ვადებში მიიღებს ახალ სპეციალობას.

● ***სიტყვამ მოიტანა და უნდა გითხრათ: მას შემდეგ, რაც ,,ლელოში" თქვენი განცხადება გამოქვეყნდა, გადამზადებით მართლაც ბევრი დაინტერესდა, მაგრამ დაინტერესდნენ ისინიც, ვინც საერთოდ არსად მუშაობს, თუმცა, ამა თუ იმ სპეციალობის დიპლომი აქვს. თანაც ისეთი საჭირო სპეციალობებზე, თქვენთან გადამზადება, სადაც უმუშევარს სამუშაო თითქმის გარანტირებული ექნება. ეს კი დღეს ნამდვილად ბევრს ნიშნავს.***

— გეთანხმებით. ჯერ ის ვთქვათ, რომ უამრავი კარგად თუ მეტნაკლებად კარგად ცნობილი ყოფილი სპორტსმენია, რომლებსაც სხვა დიპლომი უდევთ მაგიდაზე, მაგრამ სპორტში სურთ მუშაობა. ასეთებისთვის, ცხადია, ჩვენი კარი მუდამ ღიაა და გადამზადებაც ადვილია, თუმცა უარს არც სხვებს ვეტყვით, განსაკუთრებით იმათ, ვინც უკვე სპორტში მუშაობს, მაგრამ არა პროფილით.

● ***ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დღევანდელ პირობებში ყველაფერი ხომ ასე ძნელად საშოვნ ფულთანაა დაკავშირებული, გადამზადება ალბათ ფასიანია — მსმენელის ხარჯზე.***

— დიახ, ასეა, მაგრამ შეიძლება მსმენელთა თანხა პირადადაც გადაიხადოს ან იმ ორგანიზაციამ, რომელიც დაინტერესებულია კვალიფიციური მუშაკით, სულაც სპონსორმა.

● ***მთავარი ხომ სწავლის გადასახადი არ არის, პერიფერიებში მცხოვრებთათვის ამას დაუმატეთ გზის ხარჯები, თბილისში კვება და ცხოვრებაც ხომ ფული დაუჯდებათ...***

— ესეც გათვალისწინებული გვაქვს. ფილიალები იმუშავებენ სხვადასხვა რეგიონში. აი, ბათუმში პირადად ჩავედი და საკითხი დადებითად გადაწყდა. აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ წერილობითი დასტურიც კი მოგვცა. ასეთივე ფილიალები შეიძლება გაიხსნას სხვაგანაც, სადაც უმაღლესი სასწავლებლის ფიზაღზრდისა და სპორტის სპეციალისტებსაც ამზადებენ და კათედრა მუშაობს. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა. რეგიონებში სხვა ლექტორებსაც მივავლენთ თუ ეს საჭირო გახდება.

● ***მაინც რა დაჯდება კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება?***

— თანხა მინიმალურია — დღეში მინიმუმ 1-1,25 ლარი, ოღონდ, ერთი პირობით, ჯგუფში 25-30 მსმენელზე ნაკლები არ უნდა იყოს. ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით, მალე, თბილისში, ჩავატარებთ საგანგებო თათბირს სპორტის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, სადაც ისინი წარმოადგენენ თავიანთ კონკრეტულ წინადადებებს.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

*დაწვრილებითი ცნობებისთვის მიაკითხეთ დეკანატს, ჭავჭავაძის გამზირი, 49ა. ტელ: 29-23-06.*

# დავით ბუხრაძეს – ოქროს მედალი



14-15-16 აგვისტოს თურქეთის ქ. რიზეში ჩატარდა „ჩაის თასის“ საერთაშორისო ტურნირი ტაეკვანდოში – (WTF). მონაწილეობდნენ საქართველოს, ჰოლანდიის და თურქეთის უფროსი ასაკის ნაკრები გუნდები. სულ 18 გუნდი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარგზავნილები იყვნენ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები, რომლებსაც მსაჯთა კოლეგიამ ნება დართო მონაწილეობა მიეღოთ ტურნირში და ისინი საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ.

58 კგ-მდე წონით კატეგორიაში დავით ბუხრაძემ ფინალური შეხვედრა მოუგო სტამბულის წარმომადგენელს გენჯეკ აბასს და ოქროს მედალი დაიმსახურა.

72 კგ-მდე კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ზურაბ კოპაძემ. ხოლო 78 კგ-მდე წონაში ვერცხლის პრიზიორი გახდა გიორგი ნარუშვილი. საქართველოს ნაკრები სულ 4 სპორტსმენით იყო წარდგენილი, რომლებიც მოამზადეს მწვრთნელებმა ავთანდილ მიქაძემ და დავით ბაბუაძემ. ჩვენმა ნაკრებმა საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა 18 გუნდს შორის, რაც უდავო წარმატებაა და კარგი პირობაა II ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებისათვის, რომელიც ჩატარდება ქ. სტამბულში ამა წლის 9-14 სექტემბერს.

*სურათზე: დ. ბუხრაძისა (მარჯვნივ) და თურქი გენჯეკ აბასის ფინალური ორთაბრძოლის მომენტი.*

# კარლსრუეში სწავლობს, ბუნდესლიგაში თამაშობს

მიხეილ კეკელიძე წლების განმავლობაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო. ახლა იგი კარლსრუეს (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. წარმატებით თამაშობს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, ქეთევან კახიანთან ერთ გუნდში მონაწილეობს ბუნდესლიგის ჩემპიონატში.

აგვისტოში მიხეილი თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა რუსეთისა და სომხეთის წარმომადგენლებთან ერთად.

ჩვენი საუბარიც იმ დღეებში შედგა.

● *მიხეილ, თქვენ ამას წინათ ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატის ბალი მოიპოვეთ..*

— დიახ, მაგრამ იმის გამო, რომ საერთაშორისო ოსტატის წოდება არა მქონდა, ჭადრაკში კი „გადახტომა“ არ შეიძლება, ამ წარმატებით დიდოსტატის არა, მაგრამ საერთაშორისო ოსტატის ერთი ბალი მომცეს.

● *მეორეც, ახლა თბილისში მიიღეთ, როცა 11 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვეთ.*

— დიახ, ამჯერად კონგრესი, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში ელისტაში გაიმართება, უნდა ვიფიქროთ, საერთაშორისო ოსტატის წოდებას მომანიჭებს.

● *24 წლის ახალგაზრდისათვის ეს ძალიან კარგი შედეგია. ახლა უკვე შეგიძლიათ დიდოსტატის წოდებისათვის იბრძოლოთ. საერთაშორისო ტურნირებიდან მიწვევები თუ გაქვთ?*

— მაქვს. ამას წინათ ვენაში უნდა მეთამაშა, მაგრამ თბილისში ჩამოსვლა ვარჩიე. საქართველო და ჩემი ახლობლები მომენატრა.

● *კარლსრუეშიც ბევრ ქართველს ხვდებით?*

— კარლსრუეში და სხვა გერმანულ ქალაქებშიც.

● *ახლა რას აპირებთ?*

— გავაგრძელებ სწავლას უნივერსიტეტში, ვითამაშებ ბუნდესლიგაში. ჩემი მიზნები მაქვს როგორც მეცნიერებაში, ისე ჭადრაკში.

# რა ხდება ქვეყანაზე

## რომში. 29 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე

საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელსაც სოკ-ის წევრი ესპანეთის სამეფო გვარის წარმომადგენელი ქალბატონი პილარ დე ბურბონი ხელმძღვანელობს, გამოაცხა და მსოფლიო საცხენოსნო-სპორტული თამაშების (იგი რომში ჩატარდება 29 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე) ბიუჯეტის მონაცემები. შეჯიბრების ჩასატარებლად საჭიროა 15,3 მილიონი დოლარი. ამ თანხაში შედის იტალიის ეოკ-ის და იტალიის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის ინვესტიციები. თამაშების ორგკომიტეტის შტატი 1000 კაცს შეადგენს. მოელიან 400 მხედრის (მათთან ერთად 700 ცხენს) ჩამოსვლას.

## პოლონეთის მთავრობა მხარს უჭერს...

2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის ქ. ზაკოპანეში ჩატარებას. ზაკოპანე მთიანი კურორტია ვარშავიდან 330 კილომეტრზე სლოვაკიის საზღვართან. როგორც ქალაქის მერმა ადამ ბაჩლედაკურუსმა განაცხადა, მთავრობა მზად არის წინასაოლიმპიადო კამპანიის ბიუჯეტში 855 მილიონი დოლარი გადარიცხოს, სოკ-ი კი მას 415 მილიონს გადასცემს. თუკი ოლიმპიადა კარგად ჩატარდა, მაშინ ქალაქი წმინდა შემოსავლის სახით დაახლოებით 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

მართალია, ზაკოპანეს, როგორც ყოველთვის, კონკურენტებიც ჰყავს. ოლიმპიადის გამართვა აგრეთვე სურთ ჰელსინკი-ლილეჰამერის წყვილს, პოპრად-ტატრის (სლოვენია), ტურინ (იტალია)-კლაგენფურტს (ავსტრია) და სიონს (შვეიცარია).

საბოლოო არჩევანი 1999 წლის ივნისში მოხდება.

## აღაშფოთა... საკუთარმა ინტერვიუმ

ხანდახან ჟურნალისტებმა რომ იციან ინტერვიუში ზოგი რამის წამატება, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ რაც მოსკოვის ინგლისურენოვანმა „მოსკუ ტაიმსმა“ გააკეთა...

ამ დღეებში ლეგენდარული ჰოკეისტი ბობი ჰალი მოსკოვში იმყოფებოდა, როგორც „სპარტაკის“ თასზე საერთაშორისო ტურნირის საპატიო სტუმარი. „მოსკუ ტაიმსის“ კორესპონდენტსაც მაშინ შეხვდა, მაგრამ როცა კანადაში დაბრუნდა და ვითომც საკუთარი ინტერვიუ წაიკითხა, აღშფოთება ვერ დამალა.

ინტერვიუში თითქოს ჰალმა თქვა, რომ ადოლფ ჰიტლერს „რამდენიმე კარგი აზრი ჰქონდა“. იგი მხარს უჭერს ადამიანთა სელექციის იდეას, რახან აშშ-ს შავკანიანი მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება. განთქმული ჰოკეისტის ამ აზრმა (უფრო სწორად, იმან, რაც მას მიაწერეს) აშშ-ს წამყვანი გამოცემების გაოცება გამოიწვია, ინტერვიუ კი გადაიბეჭდა.

მაშინ ბობი ჰალმა პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა: „ღრმად აღშფოთებული ვარ ყალბი გამონაგონით, რომელიც მომაწერეს. „ჰიტლერი იყო ყველაზე საშინელი, შემზარავი პიროვნება იმათთაგან, ვინც კი ოდესმე ცხოვრობდა დედამიწის ზურგზე და მასზე რაიმე კარგის თქმა სრულიად შეუძლებელია“.

ბოლოს ჰალმა თქვა, რომ ყოველგვარ იურიდიულ საშუალებას გამოიყენებს ცრუპენტელების დასასჯელად.

# ყველაზე პოპულარული მოკრივე?



ოსკარ დე ლა ხოია

ჟურნალისტთა სხვადასხვა სახის გამოკითხვაში ყველაზე პოპულარულ მოკრივედ, როგორც წესი, მძიმეწონოსნებს ასახელებდნენ. ასე იყო მუჰამედ ალის და გნებავთ, მის შემდგომ პერიოდშიც. მაგრამ დღეს?

დღეისათვის, უამრავი ანკეტის შედეგს თუ გავითვალისწინებთ, ასეთად ითვლება მსოფლიო ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში (WBC-ს ვერსიით) მექსიკური წარმოშობის ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოია. მოკრივე, რომელიც ყველა შეხვედრას იგებს. მას ერთხმად ეწოდა „ოქროს ბიჭი“, ეს სახელი კი კონკურენტებს ძალიან აღიზიანებდა. ჩემპიონის დამარცხება, პირველ რიგში, სურდა 35 წლის პუერტორიკოელ ექტორ კამაჩოს, რომელსაც კრივის სამყაროში, „მაჩოს“ ეძახდნენ (ესპანურად დაახლოებით „ნამდვილ მამაკაცს“ ნიშნავს). უფრო დიდი „მაჩო“ ამ მატჩში ახალგაზრდა ამერიკელი აღმოჩნდა. ოსკარ დე ლა ჰოიას ამ ბრძოლაში დიდი უპირატესობა ჰქონდა, რაც თითოეული რაუნდის შემდეგ აღინიშნა, ხოლო მეცხრეში იყო ნოკდაუნიც (მეორე პუერტორიკოელის ესოდენ ხანგრძლივ კარიერაში). დამარცხებულმა მატჩის შემდეგ გულახდილად განაცხადა: „იგი საუკეთესოა ყველა იმათგან, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ“.

ამბობენ, რომ ქვესაშუალო წონაში ამჯერად გაცილებით უფრო მეტი გამოჩენილი მოკრივეა, ვიდრე ნებისმიერ სხვა კატეგორიაში. ერთ-ერთი მათგანია განელი აიკ კვორტი (მსოფლიო ჩემპიონი WBA-ს ვერსიით). იგი უაღრესად აგრესიულია, აპირებს რინგზე პასუხი გასცეს ყველა შესაძლებელ პრეტენდენტს, განსაკუთრებით კი ოსკარ დე ლა ჰოიას დამარცხება სურს.

კიდევ ერთი IBF-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონია პუერტორიკოელი ფელიქს ტრინიდადი. მას ისეთივე ძლიერი დარტყმა აქვს, როგორც დე ლა ჰოიას და კვორის. შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს შეეგუოს.

საინტერესოა, რომ თუ დე ლა ჰოიას 26 მოგება აქვს თავის პროფესიულ კარიერაში, კვორის – 34 და ტრინიდადს – 32. არც ერთი წაგება!

არის კიდევ ერთი გამოჩენილი ოსტატი ამ წონაში – ამერიკელი პერნილ უიტაკერი. მან, მართალია, მატჩი წააგო დე ლა ჰოიასთან, მაგრამ ზოგი ექსპერტი ფიქრობს, რომ ეს გამარჯვება დამაჯერებელი არ იყო. უიტაკერი უკვე 33 წლისაა, მაგრამ პრეტენზიებზე ხელს არ იღებს. შარშან მას ორი მატჩი ჰქონდა კიდევ ერთ პრეტენდენტთან პუერტორიკოელ უილფრედო რივერასთან. ორივე შეხვედრა მეტად მძიმე აღმოჩნდა... მეტოქეებისათვის. პირველში მსაჯებმა გამარჯვება უიტაკერს მიაკუთვნეს, თუმცა მაყურებლები სხვა აზრისანი იყვნენ, მეორე ბრძოლა კვლავ უიტაკერმა მოიგო, ამჯერად მცირე უპირატესობით.

რაც შეეხება უიტაკერის შეხვედრას ოსკარ დე ლა ჰოიასთან, იგი მეტად თავისებური გამოდგა. საქმე ის არის, რომ სულ 167 სმ სიმაღლის უიტაკერი საკმაოდ უცნაურად იბრძვის, როგორც ახერხებს, რომ მეტოქემ გაუთავებლად იქნიოს ხელები, და თუნდაც უიტაკერზე გაცილებით მაღალიც კი იყოს, მიზანს ვერ მიაღწიოს. თვით ამერიკელი იშვიათად ურტყამს, მაგრამ მეტოქეზე მეტ ქულას აგროვებს. ასეთი ტაქტიკით ძნელია გულშემატკივრების მოხიბლვა, მაგრამ შედეგები კი თვალსაჩინო იყო. უიტაკერი უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი 4 (!) წონით კატეგორიაში. უკანასკნელად პირველ საშუალო წონაში WBA-ს ვერსიით, მაგრამ ეს წოდება აღარ დაიცვა, ისევ ქვემძიმე წონაში დაბრუნდა.

როცა დე ლა ჰოიასთან მოუხდა შეხვედრა, უიტაკერმა სამართლიანად გადაწყვიტა, რომ ასეთი პასიური ტაქტიკით მეტისმეტად შემტევ მეტოქესთან ვერაფერს გახდებოდა. ამიტომ იგი უფრო აქტიური იყო, მეტს ურტყამდა, მაგრამ მაინც წააგო.

და აი, 18 სექტემბრისათვის ლასვეგასში (აშშ) დაინიშნა ოსკარ დე ლა ჰოიას მორიგი შეხვედრა გამოჩენილ მოკრივე ხულიო სეზარ ჩავესთან (მექსიკა). საქმე ის არის, რომ 1996 წლამდე, სანამ დე ლა ჰოიასთან წააგებდა, ჩავესი უძლეველ მოკრივედ ითვლებოდა. იგი ამ დროს მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი იყო. ჩავესის დამარცხება, თანაც ნოკაუტით, მაშინ საკმაოდ მოულოდნელად ჩაითვალა, მაგრამ რახან მომდევნო ხანებში დე ლა ჰოიამ საერთოდ ყველას მოუგო...

ერთი სიტყვით, 18 სექტემბრის შეხვედრა უკვე მატჩ-რევანში გახლავთ. ჩავესი მეტად სერიოზულად ემზადება კოლორადოს შტატის მთიან დაბა ბრეკენრიჯში და აცხადებს, რომ „ოქროს ბიჭისაგან“ არაფერს დატოვებს.


## განცხადება

საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელთა საბჭო: რ. გაგუა, თ. სულაქველიძე, ვ. კოპალეიშვილი, ფ. კანთელაძე, ზ. ებრალიძე, რ. ურუშაძე, რ. შენგელია, თ. კოსტავა, ნ. ხიზანიშვილი, ა. ქანთარია, გ. სილაგავა, ა. ვაშაკიძე, თ. სამხარაძე, თ. თვალჭრელიძე, პ. მეტრეველი, მ. რაზმაძე, რ. შარაბიძე აცხადებს 1987-1992 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.
შერჩევა მიმდინარეობს 2 სექტემბრიდან ყოველდღე (10-დან 18 საათამდე).


საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია, თბილისის განათლების სამმართველოს ტანვარჯიშული სპორტული სკოლა და გორის სპორტული საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, წარსულში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მრავალჭიდში და ცალკეულ იარაღებზე, საერთაშორისო შეხვედრების მონაწილე

ვანო ჭიღლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან სპორტსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ძიუდოს და სუმოს ეროვნული ფედერაციების ვიცე-პრეზიდენტს ფირუზ მარტყოფლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაუგრძნობს ფირუზ მარტყოფლიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

## ფოტოკროსვორდი







1. თქვენს წინაშეა სამი მეკარე. დაასახელეთ მათი ვინაობა.
2. ლეგენდარული მძლეოსნები. ვინ არიან ისინი?
3. შეყვარებული წყვილი – ცნობილი იაპონელი კინომსახიობი და „ფორმულა-1“-ის პილოტი...

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ვიერი, 5. ბლანი, 7. ძანეტი, 8. ბრაუნი, 10. ბალბო, 13. მალდინი, 14. ბოიდი, 16. რაინმაიერი, 20. ვერონი, 21. ბონევი, 24. ნარა, 25. უნი, 27. აზიზი, 28. ზაგალო, 30. ალქიერი

შვეულად: 1. მუსრი, 2. „ბოლონია“, 3. „მილანი“, 6. ბერგომი, 9. ლივიო, 11. ბადრა, 12. სიმენი, 14. ბებეტო, 15. მახუვე, 17. ამერპაუზერი, 18. ტუნისი, 19. სქოულზი, 22. ჩა, 23. ჯუ, 26. აზია, 29. ლამა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(თბილისი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
№1. 1. b8მ!, №2. 1. ლe2!.


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე